# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73. მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—375 მან. ცალკე №—15 მან.

ფასი 15 მან.

წელიწადი მეექვსე. ხუთშაბათი, ნოემბერს 18. 1920 № 151.



მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

## კონიაკი

გაწმენდილი პურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა

ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.



20 ნოემბერს, დღით შაბათს, სათირძხის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებული

ფარსადან ზურაბის ძე

**ნემსაძის**

სულის მოსახსენებლად,—რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ ქვრივი ნინო ქალი საშა ახვლედიანისა, ვაჟი ივანე, სიძე ევტიხი ახვლედიანი და შვილის-შვილი ელიო ახვლედიანი. 2—3283 1.



## სახელმწიფო დრამის თეატრი.

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

შაბათს, ნოემბრის 20-ს

**უმეცრების მეფენი**

ალ. შანშიაშვილისა

ახალი დეკორაციები და ტანისამოსი მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა

რეჟისორი: აკაკი ფაღავა.

ბილეთები კასაში



სახელმწ. თეატრი.

## ოპერა

ხუთშაბათს 18 ნოემბერს **ქეთო და კოტე**

პარასკევს 19 ნოემბერს პირველათ ქართულ ენაზე **ლალატი**

შაბათს, 20 ნოემბერს მუშებისთვის **ალი**

კვირას, 21 ნოემბერს **კოპპელია**

ორშაბათს, 22 ნოემბერს **მეორეთ ლალატი**

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.



1920 წ. ნოემბრის 28-ს დანიშნულია

რიგჩვეულებრივი საზოგადო

## კრება

ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციონერებისა (ცენტრობანკის),

კრება შესდგება დღის 12 საათზე ცენტრობანკის შენობაში (პუშკინის ქუჩა № 3.

ცენტრობანკის გამგეობა.

0—111.



## გაზ. „საქართველო"-ს

აგენტების საყურადღებოდ

თელავი, ყვირილა.გორი, ახალსენაკი, ფოთი, ბათომი, სამტრედია.

გაზ. „საქართველო"-ს კონტორა კატეგორიულად აცხადებს, რომ ყველა იმ აგენტებმა, რომელთაც არ წარმოუდგენიათ მიღებულ გაზეთების ანგარიში, რომელთაც არ დაუბრუნებიათ დარჩენილი გაზეთები, აცნობონ ამის შესახებ დაწვრილებით კონტორას და გაასწორონ ანგარიშები: წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები აღარ გაეგზავნება.



საუკეთესო საჩუქარი ბავშვებ სთვის!

საქართ. მასწავლებელთა კავშირის გამოცემანი.



გამოვიდა და იყიდება წიგნის ყველა მაღაზიებში

„ძერწვა"—სურათებიანი სახელმძღვანელო ბავშთა მხატვრული ნიჭის გასავითარებლად. წიგნში ახსნილია, თუ როგორ უნდა მომზადდეს თიხა. ფასი—70 მ. გაგზავნით.

„სამი კნუტი"—პატარა ზღაპარი პატარა ბავშვებისათვის, დასურათებული—ფ. 40 მ.

მალე გამოვა გასასყიდად: „ვინაა ყველაზე ძლიერი?", „კურდღელი და მისი მეგობრები?", „არწივი და ყვავი",—ყველა ეს ზღაპრები დასურათებულია. მისამართი: საქ. მასწავლებელთა კავშირის წიგნის მაღაზია, პლეხანოვის პროსპ. № 53, ცენტრალ. ფოსტის პირდაპირ.



სახელმწიფო ოპერა

პარასკევს, 19 ნოემბერს და ორშაბათს, 22 ნოემბერს პირველად თბილისში ოპერა ქართულ ენაზე

## ლალატი

მუსიკა იპოლიტოვ ივანოვისა, თარგმანი კ ფოცხვერაშვილის მიერ. სიუჟეტი აღებულია ცნობილ დრამის ალ. სუმბათაშვილის ლალატიდან. ზეინაბ—ალეშკო, რუქაია—ბურაგო-ცებრიოვსკაია, ირაკლი—სარაჯიშვილი, ოთარ ბეგ—ელიოზიშვილი, სულეიმანი—საბინინი.

ახალი დეკორაციები და კოსტიუმები.

ბალეტს დადგამს მიხეილ მორდკინი

ოპერას დასდგამს ა. წუწუნავა

დირიჟორი ს. ა. სტოლერმანი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. სახელმწიფო ოპერის ადმინისტრაცია.


## რუსეთი.

რევოლიუციამ დაშალა ის სიმტკიცე, რომელიც ჰქონდა რუსეთის სახელმწიფოებრიობას.

და, როგორც ამის შედეგი, რუსეთს პირველად ის ძალები განშორდნენ, რომელნიც ისტორიით, ტრადიციით და რასიულათ რუსეთის ბატონობის იდეას გაურბოდნენ. ფინეთი, ლიტვა, ლატვია ესტონია, პოლონეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და სხვანი დამოუკიდებელი გახადა რუსეთის ხელმწიფების დარღვევამ.

საქმე ამით არ გათავდა და რევოლიუციამ განაგრძო შიგ რუსეთშივე საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრივი ძალების განადგურება...

მაგრამ უბრძოლველად რევოლიუციის ხელმძღვანელებს მოედანი არ დაუთმო და რუსეთის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ატარებდა რუსეთის მოკლე სახელმწიფოებრივი ცხოვრების სუსტ ტრადიციას, რევოლიუციის შეება.

მესამე წელიწადია, რაც რუსეთში მძვინვარებს სამოქალაქო ომი წარმოუდგენელი სიმხეცითა და ცინიზმით. ამავე დროს, ჩვენი ძალად განმანთავისუფლებელი რევოლიუცია „ვონს მიდის", ბრძოლის პროცესში იგი გაიმპერიალისტდება და რუსეთის სახელმწიფოებრივი შემოკრების საჭიროებას დაინახავს. ამ ახალმა შეგნებამ იგი მიიყვანა შეიარაღებულ შეტაკებამდე, თითქმის ყველა ზევით ჩამოთვლილ განთავისუფლებულ ერებთან.

ამგვარად, რუსეთის რევოლიუცია ორმაგ ბრძოლაში ჩაება. ერთი იყო ბრძოლა შინაური სამოქალაქო; მეორე—საგარეო, იმ სახელმწიფოებთან, რომელთა რუსეთის წიაღიდან მოწყვეტას ხელი შეუწყო იმავე რევოლიუციამ.

აქ მჟღავნდება ფრიად საგულისხმიერო გარემოება.

პირველი:

ბოლშევიკური რევოლიუცია ყოველთვის დამარცხდა ამ სახელმწიფოებთან ბრძოლაში. სამშობლოს იდეამ და პატრიოტიზმის ლოზუნგებმა დაამარცხეს რუსეთის რევოლიუციის იდეა და მისი ლოზუნგი პირისპირ შეჯახებაში.

მწარე გაკვეთილების შემდეგ რუსეთის რევოლიუცია იძულებული შეიქმნა დასდგომოდა მშვიდობიანი განწყობილების გზას ამ ეროვნული სახელმწიფოების მიმართ. ეს მდგომარეობა დღეს „პროფორმა" მაინც მიღწეულია. შეიძლება ბოლშევიკების გაიმპერიალისტებულმა რევოლიუციამ, თუ შინ აბსოლუტური ბატონობა განამტკიცა, ამ სახელმწიფოებს კვლავ მიუბრუნდეს. მაგრამ ეს ხვალინდელი შესაძლებლობაა და არა დღევანდელი ფაქტი. საჭიროა, ამ შესაძლოების ფაქტად გადაქცევამდე, დაინტერესებული სახელმწიფონი ერთმანეთთან ორგანიულად შეკავშირდნენ და თავდაცვის საერთო გეგმა მოაწყონ.

მეორე:

ბოლშევიკური რევოლიუცია ყოველთვის გამარჯვებული გამოდის შინაური ძალებთან შეჯახებაში.

სოციალისტ რევოლიუციონერები, მენშევიკები, კოლჩაკი, იუდენიჩი, ალექსეევი დენიკინი და ვრანგელი, რომელთაც საკუთარი ძალებიც ჰყავდათ და ანტანტის სახელმწიფოთა დახმარებაც ჰქონდათ, ყველა ესენი განადგურებული იქნენ.

ბოლშევიკური რევოლიუციისაგან აშკარავდება ის, რაც ბევრისთვის ცხადი არ იყო: თვით რუსის ხალხში არ არის სახელმწიფოებრივი შეგნების ენერგია და ხასიათი. ხოლო განყენებული ლოზუნგებით მებრძოლ ფალავნებ შორის

დღეს იმარჯვებს ისე ვისაც ხელთ უჭირავს რუსეთის ცენტრი, ხაზინა, ხიშტი და ვისაც ბაგეთაგან გადმოდის აღთქმა დაპირების ნიაღვარი....

ბოლშევიკების უკანასკნელი მოწინააღმდეგე—გენერალი ვრანგელი დღეს განადგურებულია ფეოდოსია, სიმფეროპოლი აიღეს. ყირიმში გაიშალა ბოლშევიკების ლაშქარი. ვრანგელი თავის შტაბით და ქონებით სევასტოპოლშია და პირველი გემით გაქცევას აპირებს. მისი ჯარისკაცთაგან, ვინ მტერს ნებდება და ვინ უიმედო ბრძოლაში სულს ჰლევს.

მთელი რუსეთის სივრცეზე, დღეს არ მოსჩანს ბოლშევიკების წინააღმდეგ არც ერთი მოქმედი და ძალა შემოკრებილი ფიგურა. დღეს მარტოდ მარტო ლენინის დროშა გადაიშალა რუსეთის მთელს სივრცეზე. არის ეს უკანასკნელი აქტი რუსეთის ტრაღედიისა და ჩვენსა და ჩვენსავით დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა ამის მიხედვით უნდა ვაწარმოოთ ნორმალური პოლიტიკა, თუ ჯერ კიდევ მოსალოდნელია ახალ-ახალი აბრუნდები.

რუსეთი დაუსრულებელი შესაძლეობის ქვეყანაა.

თუ იარაღით მებრძოლ ანტიბოლშევიკურ ძალთა უკანასკნელი კონცენტრაცია დღეს რუსეთში არ არსებობს, სამაგიეროდ თვით ხალხში დიდი უკმაყოფილება და მღელვარებაა. აჯანყებიც ხშირდება.

მაგრამ არაფერიც რომ არ მოხდეს და ბოლშევიკებიც რომ თვითმპყრობელ ძალად დარჩენ, ჩვენ ჩვენი საქმე უნდა განვაგრძოთ. ჩვენი პოლიტიკა და ჩვენი მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაა. ამ საქმეს დღემდე გვიადვილებდა რუსეთში სამოქალაქო ომის არსებობა.

დღესაც ისაა ჩვენი მიზანი რაც გუშინ. ამიტომაც, ჩვენი სამხედრო ძლიერება იმ მაქსიმუმამდე უნდა ავიყვანოთ, ამიტომ საგარეო პოლიტიკაშიაც ისეთი ხაზი უნდა დავიჭიროთ და შინაური ფრონტიც ისე გავამაგროთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა მაშინაც შევსძლოთ, როდესაც რუსეთში სამოქალაქო ომი მოისპობა და იქ ერთი ხელისუფლება დამკვიდრდება.

## ეროვნული ბრძოლა ირლანდიაში.

ირლანდიას უნდა თავისუფლება, უნდა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ინგლისს ამისი ეშინია. ირლანდიის კუნძული სულ გვერდით უდევს ინგლისს. თუ ირლანდიას მიენიჭა დამოუკიდებლობა, ეჭვი არ არის, ამბობენ ინგლისის პოლიტიკური მოღვაწენი, იგი მაშინვე შემოიღებს სავალდებულო სამხედრო ბეგარას, მოაწყობს ძლიერ ჯარსა და ფლოტს და შეიძლება ბოლო მოუღოს თვით ინგლისის ძლიერებას. საფრთხე მართლა დიდია, პრობლემა მეტად ძნელი. ამ წინააღმდეგობაზე აღმოცენდა საშინელი ბრძოლა, რომელიც სწარმოებს უკვე რამოდენიმე საუკუნეა და რომელმაც ამ უკანასკნელ დროს მიიღო თავისებური საშინელი და შემაძრწუნებელი ხასიათი.

ინგლისმა საუკუნეთა განმავლობაში თანდათან დაიპყრო ირლანდია, ჩაიჭრა მის ეროვნულ ორგანიზმში, ისე გაიდგა ფესვი და ჩაეთესა მის ნიადაგში, რომ მისი აღმოფხვრა და ამოგდება ჰხევს და ჰკაწრავს თვითონ ირლანდიის ეროვნულ სხეულს. მიუხედავათ ამისა ირლანდიის პატრიოტები განაგრძობენ ბრძოლას. დანითა სჭრიან ინგლისის ბატონობის ფესვს, ყუმბარით აფეთქებენ მის სახელმწიფო დაწესებულებებს ჰკლავენ ინგლისის ჯარის კაცებს, ახრჩობენ პოლიციელებს. გამწარებული ჯარი და პოლიციელი მიჰმართავს საშინელ რეპრესიებს...

ილვრება სისხლი.

ეხლახან ირლანდიის საქმეთა მინისტრმა თემთა პალატაში გამოაცხადა, რომ პირველ იანვრიდან ირლანდიაში მოჰკლეს 100 პოლიციელი, და 18 ოფიცერი, 160 პოლიციელი და 66 ჯარის კაცი დაჭრილია; თავს დაესხნენ და ყუმბარები დაუშინეს 667 ყაზარმას და საპოლიციო პოსტებს.

ბედნიერია პოლონეთი—მას შეუძლიან მოაგროვოს ეროვნული ჯარი, აღმართოს ეროვნული დროშა, ეკვეთოს შემოსეულ მტრის ლაშქარს, დაჰლეწოს იგი და ერთხელ კიდევ გადაარჩინოს ევროპა და მისი ცივილიზაცია, როგორც ერთ დროს იან სობესკიმ, ბარბაროსულ უდროებისაგან... ბედნიერია საქართველო—მას შეუძლია მოახდინოს მობილიზაცია, ეროვნულ დროშის ქვეშ დაჭრაზმოს მამულის შვილები, დაიჭიროს სტრატეგიული ხაზები ძველი საქართველოსი და გმირულად ჩაზნიქოს ოსმალეთის თუ რუსეთის რკალი... ბედნიერია ყოველი ერი, რომელსაც შეძლება აქვს აამოძრაოს ეროვნული ენერგია და მისცეს მას მოფიქრებული, წინასწარ გეგმით განსაზღვრული მიმართულება. აქ იშლება ვრცელი ასპარეზი დიდებისა და სახელოვანი სიკვდილისა.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რა უბედური რებაა მდგომარეობა იმ ერის, რომელიც მოკლებულია ამ შესაძლეობას, ჩვენ, ქართველებმა, გამოვიარეთ ეს საშინელი ხანა. ჩვენც გვყავდა ბლომად მამულიშვილები, რომლებიც მოჰკვდნენ ციხეებში, სული დაჰლიეს გაყინულ ციმბირში. იყო ბრძოლა, მაგრამ ეს ბრძოლა მოსჩანდა ისე უიმედო, ისე უნაყოფოდ დაკარგული, რომ დიდს უმრავლესობას ეროვნული რაზმისა გულიც კი გაუტყდა. ეს ის პოლიტიკური მომენტი: ჩაჰქრა ეროვნული ბრძოლა, მისი ადგილი დაიჭირა ბრძოლამ კლასსობრივმა. სრული გადაგვარებისაგან გვიხსნა მსოფლიო ომმა და რევოლიუციამ.

მაგრამ ასე არ იქცევა განვითარებული ერი.

იგი ჰსდგას ეროვნულ ნიადაგზე და მოითხოვს ეროვნულ განთავისუფლებას. ირლანდია არ არის სახელმწიფო, არა ჰყავს თავისი მთავრობა, თავისი ჯარი, არა აქვს ფინანსები. მაგრამ თვითოეული ირლანდიელი ჰგრძნობს, რომ თვითონ არის პირადად ეროვნული ჯარიც და ფინანსებიც. თვითოეული იბრძვის და იბრძოლებს თავგანწირვით. ბრძოლა არ ჰთავდება მაშინაც, როცა იგი შეპყრობილია და ციხეში დამწყვდეული. იგი საპყრობილეშიდანაც განაგრძობს ბრძოლას... შიმშილით.

დატუსაღებული ირლანდიელი აცხადებს შიმშილის გაფიცვას. ჰკვდება ბევრი, მაგრამ თვითოეული რადიო ან ტელეგრაფიული ცნობა ამისთანა სიკვდილისა, არის ნამდვილი ყუმბარა, რომელიც სკდება ინგლისის საზოგადოების თავზე. რაც გინდ მტრული იყოს განწყობილება და რაც გინდ მოჩლუნგებული ნერვები, არ შეიძლება ამისთანა ამბავმა არ მოახდინოს შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება. შესანიშნავია ქალაქ კორკის მოურავის, ბ-ნი მაკ სვაინის გარდაცვალება. მას არ უჭამია პური 72 დღის განმავლობაში და ბოლოს განუტევა სული.

მის მაგალითს მისდევენ შეპყრობილი მისი ამხანაგებიც, და ლონდონში თითქმის ყოველ დღეს მოდის ცნობა ხან ერთის გარდაცვალებისა და ხან მეორისა...

ამ თავგანწირულმა ბრძოლამ ერთის მხრივ და მეორე მხრივ—საზარელმა რეპრესიებმა, რომელსაც მიჰმართა ინგლისის მთავრობამ, საშინელი აურზაური გამოიწვიეს პოლიტიკურ წრეებში. მთავრობამ საჩქაროდ შეიტანა კანონპროექტი ირლანდიის თვითმართველობისა და თემთა პალატამ უკვე მიიღო ეს ბილლი. ეჭვი არ არის, ირლანდია მიაღწევს განთავისუფლებას და შევა ერთა ლიგაში, როგორც თავისუფალი ერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა


კინო




არფასტო

რუსთაველის პრ. 23.

დღეს

ერთსა და იმავე დროს ორს კინემოთეატრში „მონიონ“-ში და „არფასტო“-ში ახალი სეზონ

პირველად თბილისში შეუდარებელი და მიუბაძველი „მაცისტი“ ერთად-ერთი მოთამაშე მხატვრულ ეკრანზე

# მაცისტი მედიუმი

მაცისტი ჰიპნოზით

მხატვრულ-სალონური კინო-დრამა 6 ვრცელ ნაწილად. ქვეყნად არ არის არც ერთი კუთხე სადაც არ იცოდენ, სადაც არ უყვარდეთ და სადაც არ ეგრძნოთ აღფრთოვანება იმ სურათის ნახვის დროს, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობს „მაცისტი“, რომელმაც კინოში შექმნა თავისებური მხატვრული ჟანრი. „მაცისტი მედიუმი“-ს უახლოეს სურათში, განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ კინოში ჯამბაზობის შეურიგებელი მოწინააღმდეგენიც კი ვერ მალავენ თავიანთს კმაყოფილებასა და გაკვირვებას. დასავლეთში და ამერიკაში „მაცისტი მედიუმს“ მთელი 20 დღე აჩვენებენ ეკრანზე; ყველა კარებზე კი თქვენ წაიკითხავთ შემდეგს ორიგინალურ წარწერას:

## ჩვენ ყველანი წავედით ვნახოთ „მაცისტი მედიუმი“

კინო



მინიონი

ბარიატინის ქ.

დღეს


მაგრამ ჩვენთვის, ეხლა, როცა ჰხდება მობილიზაცია და ჰსდგს საკითხი საქართველოს თავისუფალი არსებობისა, მეტად საინტერესოა და ჩამაფიქრებელი ხასიათი ირლანდიის ბრძოლისა. იქ შეპყრობილი მამულიშვილები თავს იკლავენ შიმშილით: არ ჰღირს სიცოცხლე მონობაშიო!.. ჩვენ, საბედნიეროთ, ჩვენ ვართ თავისუფალი, ლხენით და ეროვნული ჰიმნის მღერით წავალთ ბრძოლის ველისკენ, რომ გავსცეთ გმირულად პასუხი მტერს.

აი აქ არის სხვა ნაირი განსხვავება. შევიგნოთ, დავაფასოთ და დავიცვათ ეს. აქ არის წყარო დიდების და ბედნიერებისა.

გ. გვაზავა.

## ბათუმის ოლქის მუსულმანთა წარმომადგენლების საგანგებო თათბირი.

კვირას, 14 ნოემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ მოწვეული იყო ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა საგანგებო თათბირი ოლქში შექმნილ მდგომარეობის გამოსარკვევად და მთავრობის დავალების გადასაცემად მათთვის. სხდომა სრული 11 საათზე გაიხსნა.

### ნ. რამიშვილის სიტყვა

მრავალ რიცხოვან ოლქის წარმომადგენლებს პირველ სიტყვას უძღვნება შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი რომელიც რესპუბლიკის მთავრობის დავალებით ამბობს შემდეგს:

მოქალაქენო! საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით მოგიწვიეთ თქვენ იმის გადმოსაცემათ თუ რა მიზანი აქვს დასახული მთავრობას ოლქის მდგომარეობის გასამტკიცებლად და ხალხის კეთილდღეობისათვის. მიზანი თქვენი მოწვევისა გამოიხატება იმაში, რომ მე მსურს გაგითვალისწინოთ თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ამ ჟამად ოლქი და რა მოელის მას, თუ კი ოლქში არ იქნება თქვენ მიერ დაცული მშვიდობიანობა, წესიერება და ნაყოფიერი შრომის შესაფერისი პირობები. თქვენ იცით მოქალაქენო, რომ ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში სამუსლიმანო საქართველოში არა ერთხელ შემოჭრილა ცეცხლით და მახვილით სხვა და სხვა მთავრობა! მაგრამ ისიც იცით, რომ საქართველოს მთავრობა შემოვიდა აქ, ოლქში, ძმური დამოკიდებულების გასამტკიცებლად, ჩვენი მოძმეთა საკეთილდღეოდ და მთელი ოლქის საბედნიეროდ. 1918 წლიდან ბათუმის ოლქს დროებით პატრონობდენ ოსმალონი და განსაკუთრებით ინგლისელები, მაგრამ მათ ორი წლის განმავლობაში არ გაუკეთებიათ ოლქში იმდენი, რაც რამდენიმე თვის განმავლობამ გააკეთა საქართველოს მთავრობამ. საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა ხალხის განათლება და თქვენ იცით, რომ უკვე რამოდენიმე სასწავლებელია გახსნილი ოლქში, მთავრობამ გახსნა რამოდენიმე საავადმყოფო პუნქტი, შეაკეთა ხიდები, გააკეთა გზები და არავითარ ხარჯს არ ერიდება ხალხის საკეთილდღეოდ. ამ რამოდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ შეძლებით თვალსაჩინო დახმარება აღმოვუჩინა ოლქისათვის და უკეთუ მშვიდობიანობა და მყუდროება დარღვეული არ იქნება, მე ღრმად დარწმუნებული ვარ რომ კვლავ მრავალი გაკეთდება.

მოქალაქენო! საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას გადაჭრით გადაწყვეტილი აქვს სახალხო წარმომადგენლობით შეადგინოს აქ მმართველობა ოლქის ადგილობრივ საქმეთა მოსაწესრიგებლად. დამფუძნებელი კრება მალე შეიმუშავებს საამისო პროექტს, რომელიც საბოლოოდ ჩამოაყალიბებს ადგილობრივ საქმეთა მართველობის ორგანიზაციას, ამნაირად თქვენ ხედავთ, მოქალაქენო, რომ საქართველოს მთავრობამ ამ ცოტა ხანში მეტი გააკეთა ოლქისათვის, ვიდრე სხვა რომელიმე მთავრობამ, რომელიც ცეცხლით და მახვილით იჭრებოდა ოლქში, მაგრამ არის ზოგიერთი მიზეზები, რომელნიც ხელს უშლიან ამ ქვეყნის მყუდროებას და მის განვითარებას არიან ელემენტები, რომელნიც დაძრწიან თქვენ შორის და შეიარაღებულ აჯან-

წინააღმდეგ იმ იმედით, რომ აქ შემოვა ოსმალეთი და თქვენს ცხოვრებას უკეთესად მოაწყობს. ნაცვლად ყანის დამუშავებისა, თქვენი კეთილდღეობისა და მყუდრო მუშაობისა, ოსმალეთის თუ სხვა აგენტები აჯანყებისაკენ მოგიწოდებენ და იარაღით ხელში საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრებენ. თქვენ შეიძლება უარყოთ აგენტების მოქმედება ოლქში, მაგრამ რესპუბლიკის მთავრობამ დაბეჯითებით იცის მათი არსებობა და თუ თქვენ გსურთ ხალხის და ოლქის კეთილდღეობა ეს აგენტები ჩვენ უნდა მოგვცეთ. მე მოვედი აქ მთავრობის დავალებით რათა ერთხელ და უკანასკნელად მოგელაპარაკოთ ოლქში შექნილ მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდე მე მინდა გაგაცნოთ, თუ რას ფიქრობენ ის აგენტები, რომელნიც თქვენ შორის მოქმედებენ. უმთავრესი მათი მიზანია რომ შეაკავშირონ ყველა მუსულმანები და შექმნან მუსულმანური სახელმწიფო, მაგრამ თქვენ იცით თუ როგორი სულისკვეთებაა მუსულმანებით დასახლებულ ქვეყნებში—არაბეთში, ეგვიპტეში, ალბანეთში და სხვაგან, რომლის მცხოვრებლები აუჯანყდნენ ოსმალეთის მთავრობას იმ ბარბაროსულ პოლიტიკის გამო, რომელსაც მათ მიმართ ოსმალეთი აწარმოებდა. თუ ოსმალეთი დამარცხდა ბალკანეთის ომში, არა იმიტომ რომ ბალკანეთზე სუსტი იყო, არამედ ალბანეთში დაიწყო მის წინააღმდეგ აჯანყება. ალბანეთის, ეგვიპტეს და სხვა ისეთი ქვეყნის ხალხი ძირითად ანსხვავებენ სარწმუნოებას და სახელმწიფოს და ცდილობენ ეროვნების მიხედვით ჩამოაყალიბონ დამოუკიდებელი სამუსლიმანო სახელმწიფოები, რაც ზოგიერთმა კუთხეებმა უკვე შესძლეს, მაშინ როდესაც ოლქში მომქმედი აგენტები სრულებით საწინააღმდეგოს გეუბნებიან და ისტორიული ფაქტებს განზრახ მალავენ. ისინი გაიმედებენ, რომ მოვა ქემალ ფაშა და ყოველივე გაჭირვებისაგან გიხსნით მაგრამ ასეთი აგენტების მოქმედება თქვენ ალბათ უკვე იგემედ როდესაც ლიახოვმა გაანადგურა მთელი აჭარა. ალბათ თქვენ ისიც გახსოვთ, რომ გაჭირვებაში მყოფ აჭარელებს მხოლოდ ქართველები დაეხმარა.

მეორე მაგალითი ეს 1918 წელია, როდესაც თქვენ გადაუდექით თქვენს მოძმე ქართველებს და მიეკედლეთ ოსმალეთის ურდოებს. თქვენ იცით რა მოგაყენა ოსმალეთმა და როგორ გააპარტახა თქვენი ქვეყანა, იმ ოსმალეთმა, რომელიც მაშინ კიდევ ძლიერი სახელმწიფო იყო. მაგრამ დღევანდელი ოსმალეთი კი დაუძლურებულია. მის ქვეყანაში არსებობს ორი მთავრობა—სტამბოლის და ანგორის და არც ერთი მათგანი სერიოზულ ძალას არ წარმოადგენს, მით უმეტესად რომ ოსმალეთს ჩამოშორდენ ალბანეთი, ეგვიპტე და სხვა. საქართველოს მდგომარეობა კი ძირითადად განსხვავდება 1918 წლისაგან და გადაჭრით შემიძლია ვსთქვა, რომ დღევანდელი ოსმალეთი საქართველოსათვის საშიშარი არ არის, მაგრამ ოსმალეთის ჯარების გამოლაშქრება ერთია და ზურგს უკან აჯანყების მოწყობა მეორე, მაგრამ თქვენ ალბათ იცით თუ რა ბედი ეწია იმათ, ვინც არ მოისურვა დარიგების გაგება და ურჩობა გაგვიწია—თქვენ ალბად გაგებუ-თხილებთ, არ მოიმოქმედოთ ისეთი რამ, რომელიც ოსეთის თანაბარ პირობებში ჩააყენებს თქვენ კუთხეს. საქართველოს მთავრობა თქვენგან, ოლქის წარმომადგენლებისაგან მოელის გარანტიას და უკეთუ ოლქში წესიერება და მყუდროება დაირღვა—პასუხისმგებელი თქვენ იქნებით. მთავრობა მოითხოვს, რომ თქვენ მიერ დაუყონებლივ გამომჟღავნებული იქმნენ ის აგენტები, რომელნიც საქართველოს წინააღმდეგ მოგიწოდებენ მოქმედებას და მომავალშიც კი თვალყური ადევნოთ, რომ ასეთს რაიმეს ადგილი არ ქონდეს ოლქში. ის სოფელი, რომელიც მთავრობის განკარგულებას არ დაემორჩილება და იქ ადგილი ექნება მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას, სასტიკად იქნება დასჯილი ჯარიმის გადახდევინებით და ექსპედიციის გამოგზავნით.

საქართველოს მთავრობას სურს ოლქში შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომ შესაძლებელი იქნებოდეს მყუდრო მუშაობა. ხალხს, მშრომელ ხალხს, არ სურს არავითარი არევ-დარევა, მხოლოდ ის ხალხი თქვენ მოგყვებათ, და ამიტომ უკეთუ ოლქში წესიერება დაირღვა—პასუხის მგებელი თქვენ იქნებით.

აი ის მოთხოვნილება რომელსაც მთავრობა გაკისრებს თქვენ შესასრულებლად და ერთხელ კიდევ გაფრთხილებთ ხალხის კეთილ დღეობისათვის მთავრობის დავალება მტკიცედ გაატაროთ ცხოვრებაში.

(დასასრული ხვალ)

# ტელეგრამები.

## ს. დ. ს. საინფ. ბიუ. ცნობები.

### მდგომარეობა ამერიკაში.

ტფილისში, ამერიკაში 4 თვის დარჩენის შემდეგ დაბრუნდა ამერიკის კონსული ულიტლი. საქართ—დეპ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ულიტლმა აღნიშნა, რომ ამერიკაში ევროპის პოლიტიკურ საქმეების მიმართ სრული ინდიფერენტული დამოკიდებულება არის გამეფებული. ამერიკის ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში შედის. ჯარი გაუშვეს, მხოლოთ 200,000 კაცი არის დატოვებული. ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი ამერიკის საზღვრებიდან ჯარის გადაყვანის შესახებ. ეკონომიური ცხოვრება თანდათან ლაგდება. საქონელი მოქალაქეთა ერთსულოვან ბოიკოტის გამო იაფდება. ბაზარი საქონლით არის სავსე, ეს აიხსნება იმითაც, საზღვარ გარეთ საქონელი ნაკლებათ გააქვთ. ფასების დაცემა შემდეგ ციფრებში გამოიხატება. კოსტიუმი, რომელიც აგვისტოში 65 დოლარი ღირდა ოქტომბერში 45 დოლარი ღირდა, შაქრის ფასი 25 ცენტიდან 13 ცენტამდე დაეცა და ასე სხვაე. უკანასკნელ თვეებში გაფიცვები შეწყდა. რეაქცია არა მარტო მუშებს შორის არამედ მთელ საზოგადოებაში არის გამეფებული. მხოლოთ 20 პროც. მუშებისა თუ იღებს მონაწილეობას მუშათა კრებებში. ფასების დაცემაზე კარგმა მოსავალმა იქონია გავლენა.

მთავრობის მიერ მიღებულია ზომები ფინანსიურ ცხოვრების მოსაწესრიგებლათ, ნება დართულია თავისუფალი გაცვლა საკრედიტო ბილეთებისა ოქროზე.

ამერიკა არ იცნობს კარგათ საქართველოს საქმეებს, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი საქართველოსთან დამოკიდებულება უეჭველათ სიმპატიურია. ამერიკის ხალხს ისე უყვარს თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომ იგი მზათ არის მორალურათ ყოველ ერს დაუჭიროს მხარი დამოუკიდებლობის მოპოვებაში. მაგრამ არსებითად ამერიკას არ აქვს ნათლათ წარმოდგენილი ... ველოს შორის. საბჭოთა რუსეთს ამერიკა თანაგრძნობით არ უყურებს.

ასეთი დამოკიდებულება კერძოთ იმაშიც გამოიხატება, რომ ამერიკამ საბჭოთა დელეგატებს უბრძანა დაეტოვებიათ ამერიკის საზღვრები. ამერიკის ხალხი ბოლშევიზმს დროულ მოვლენათ სახავს, ამიტომ იგი მომხრეა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენისა, თუმცა ამავე დროს იგი უარყოფს რუსეთის არსებულ მთავრობას. ამერიკა ევროპის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგი არის. ბუნებრივია ამიტომ, რომ ამერიკას არ შეეძლო ცოტათ თუ ბევრათ სერიოზულათ მოპყრობოდა საკითხს სომხეთზე მანდატის მიღების შესახებ. უკანასკნელ დროს ახალი პრეზიდენტის არჩევის გამო ამერიკა ევროპის პოლიტიკას უფრო ჩამოშორდა.

### ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

მოსკოვი. „იზვესტია“ სწერს: ინგლისის მთავრობას ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია საკითხი რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. ეს საკითხი კვლავ პირველ რიგში დაისვა. ამის გამო „ტაიმსი“ სწერს: სიტის წრეებში ახლო მომავალში ბრიტანეთის მთავრობის და რუსეთის დელეგაციის შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადებას მოელიან. შეთანხმების პროექტი ბრიტანეთის მთავრობას უკვე წარუდგინეს.

### ინგლისი და საქართველო.

—„იზვესტია“ სწერს: თანახმად ინგლისის პრესის ცნობისა, ლონდონში ყოფნის დროს, საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს რწმენა გამოუთქვამს, რომ ინგლისი კავკასიის განთავისუფლების საქმეს საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულ ცნობით დაასრულებსო. შემდეგ „იზვესტია“ სწერს: ინგლისმა თავის ყურადღება მიაპყრო კავკასიას, სადაც ინგლისის კაპიტალის მოქმედებას დიდი ასპარეზის ნახვა შეუძლიაო.

### საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი.

მოსკოვი. სრულიად რუსეთის წითელ არმიელთა ყრილობაზე ტროცკიმ განაცხადა: შესაძლებელია, რომ პეტლიურას, სავინკოვს და ბალახოვიჩს რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთის მთავრობამ გაუღო კარები. ამ რიგათ პეტლიურას დროშით პოლონეთს შეუძლია რუსეთთან ომის წარმოება.

შეეხო რა შემდეგ პოლონეთთან შეკრულ ზავს, ტროცკიმ განაცხადა: „საბჭოთა რუსეთი დამარცხდა. პოლონეთთან ომის შედეგები ამ მოლოდინს არ ამართლებს რუსეთს იმედი ქონდა, რომ პოლონეთში იგი რევოლიუციონურ მუშათა კლასს, შეხვდებოდა, მაგრამ ამის მაგივრათ მას საუცხოვოთ შეიარაღებული კონტრევოლიუციონური ბანდები შეხვდენ.

### მემარჯვენე ესერები ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ბერლინი. რუსეთის მემარჯვენე ესერებმა თავისი ცენტრი პრაგაში გადაიტანეს. ორგანიზაციის სათავეში არიან: ზენზინოვი, მინორი, ბრუშვიტი და სხვ. ეს რეჟიმის მიზანი რუსეთში ბოლშევიკურ დიქტატურის ჩამოგდებას შეადგენს. ჩეხის სოციალისტებსა და ესერებს შორის მჭიდრო დამოკიდებულება არსებობს.

### ანტიბოლშევიკური ფრონტი

მოსკოვი. „იზვესტიის“ № 238 ნომერში იუწყებიან: თანახმათ არსებულ ცნობებისა, გერმანიის საზღვარზე გადმოვიდა გრაფი პალენი, რომელსაც სავინკოვის სახელზე გაგზავნილი წერილები ჩამოართვეს. წერილებში აღნიშნულია, რომ ლატვიაში ხდება თეთრგვარდიელების შეკრება. აქვე აღნიშნულია, რომ საგანგებო რიგაში ლატვიის მთავრობასთან და სარდლობასთან ხაიდუმ-მიაღწიეს კონტაქტს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად გალაშქრების მიზანი უნდა იყოს საბჭოთა მთავრობის ჩამოგდება და მთლიანი რუსეთის აღდგენა. ამიტომ ლატვიის დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა არის მოწვეული.

## ლიონის ცნობები.

### ყირიმის ევაკუაცია.

სევასტოპოლიდან იუწყებიან: ნოემბრის 14 საფრანგეთის გემი „უკანასკნელი გავიდა. გენერალი ვრანგელი“ კორნილოვით წავიდა თანახმად მიღებულ ცნობებისა ამერიკის მთავრობა და ამერიკის წითელი ჯვარი ლტოლვილებს დახმარებას აღმოუჩენენ.

### ერთა ლიგა.

ერთა ლიგის პლენარული სხდომა ჟენევაში ორშაბათს გაიხსნება. შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტმა ბ. ნ. მოტტამ პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. ჰიმანსი თავმჯდომარეთ აირჩიეს. ლეონ ბურჟუას თხოვნით გადასწყდა, რომ ავსტრიის, ბულგარეთის, ალბანეთის და აზერბაიჯანის ერთა ლიგაში შესვლის თხოვნა გადაეცეს განსახილველათ საგანგებო კომისიას, რომელიც თავის დასკვნას წარადგენს.

### გერმანიის კონტრიბუცია.

გერმანიის და ავსტრიის გემები, რომლებიც საზავო პირობების თანახმად მოკავშირეებს უნდა გადასცემოდათ 3 კატეგორიათ არის განაწილებული: ერთს ნაწილს გამოყენებენ, მეორე ნაწილს გაანადგურებენ დაუყოვნებლივ, მესამე ნაწილს გაანადგურებენ ერთი წლის შემდეგ. ამ უკანასკნელ ნაწილს ეკუთვნის საფრანგეთზე გადაცემული გემები. „ტურინგენი“ „პრინც ევგენი“ „კრეისერი“ „ემდენი“ „ნალმოსანი“ 4466 და სხვა. რაც შეეხება იმ ნალმოსნებს რომელთა გამოძიება არ დამთავრებულა გაიყიდება მას შემდეგ, რაც ჩამოეხსნება ყველა ის მასალა, რომელიც საჭიროა უარის ყოფილი იმ გემებისათვის რომელნიც ამ ჟამად საფრანგეთის ფლოტში იმყოფება.

### ეკონომიური მდგომარეობა საფრანგეთში.

ფინანსთა სამინისტროს მიერ შეკრებილ სტატისტიკურ ცნობების თანახმად საფრანგეთში დროებითი ზავის შემდეგ ექსპორტის ციფრი ძლიერ გაიზარდა, ეს საფრანგეთის ეკონომიურად განვითარების დამამტკიცებელია.

## „ზიბ“-ს ცნობები.

### გენ. ბალახოვიჩი ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ვარშავა. რუსეთის განთავისუფლების კომიტეტი, რომელიც გენ. ბალახოვიჩს ემორჩილება ენერგიულ მუშაობას აწარმოებს. გენ. ბალახოვიჩმა წამოაყენა ახალი დევიზი ბოლშევიკური ჯარის დასაშლელად. ყველა წითელ არმიელს გენ. ჰპირდება სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებას. დემობილიზაციის ლოზუნგი წითელ ლაშქარში თანაგრძნობას ჰპოულობს.

### „სამშობლოს სევდის სესხი“.

ბერლინი. გერმანული პრესის ცნობით გერმანიის ფინანსთა მინისტრი რეიხსტაგის მომავალ სხდომაზე გააკეთებს მოხსენებას სახელმწიფოს კატასტროფიულ ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ და წარმოადგენს სათანადო პროექტს „სამშობლოს სევდის სესხის“ სახელით.

### გაფიცვები რურში.

პარიზი. „ტანის“ ცნობით რურში მაღაროს მუშათა გაფიცვები შეთანხმებით დამთავრდა. მუშების მოთხოვნილება მაღაროს პატრონებმა ნაწილობრივ დააკმაყოფილეს.

## რუსეთის ცნობები.

### მღელვარება ისპანეთში

მოსკოვი. 16—11. სიძვირის გამო ქალაქ ზამორეში ქალებისა და ბავშვების მანიფესტაცია მოხდა. მანიფესტანტებმა დაიყარეს სადგური და სურსათით სავსე ვაგონები. წესიერების აღსადგენად ჯარები გამოიწვიეს.

### იაპონია და ჩინეთი

12—11. იაპონიის მთავრობამ დაადგინა მოსპოს იაპონიასა და ჩინეთის შორის დადებული სამხედრო კონვენცია, რომელიც ჩინეთის ჯარს იაპონიის კონტროლის ქვეშ აყენებდა. ამასთანავე გადაწყვეტილია მანჯურიიდან იაპონიის ჯარების გამოწვევა.

### ვრანგელის განადგურება

„პრავდა“ სწერს: ყირიმი განთავისუფლებულია, აღებულია სიმფეროპოლი, სევასტოპოლი და ფეოდოსია. დახაშლელთია ბურჟუაზიამ ვერ მოასწრო ვრანგელის ლაშქრება და რევოლუციამ იგი უმალ წაშალა დედა მიწის პირისაგან. რამდენიმე დღის შემდეგ ვრანგელი აღარ იქნება: თუ ჯერ არ დამდგარა კიდევ დრო იმისთვის, რომ მახვილი ნამგლათ გადავაკეთოთ იმის დრო მაინც დადგა რომ შევუდგეთ ნამგლების კეთებას. მტრების იმედები იმსხვრევა.

### საზღვარ გარედ

ინგლისში რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების შესახებ მთავრობამ შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომელსაც მომავალ კვირაში გაარჩევს კაბინეტი. მოელიან რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენას.

„ჰუმანიტე“ სწერს: თუ მოლაპარაკება განახლდა, ეს იქნება პირველი ნიშანი ინგლისის მხრით საბჭოთა რუსეთის ცნობისა. თუ მოლაპარაკება არ განახლდა, მაშინ გაზაფხულში რუსეთს ახალი კოალიცია დაემუქრება.

### ჟელიგოვსკი კოვნოს უტევს

რიგა. 13—11. ჟელიგოვსკი მთელ ფრონტზე შეტევაზე გადავიდა. მას მიზანია კოვნოს აღება. ამ ჟამად სიმგრიდან იგი 30 ვერსის მანძილზე იმყოფება. ლიტვის მდგომარეობა მძიმეა. ლიტვის მთავრობამ გააგზავნა რიგაში წარმომადგენლები სთხოვოს ლატვიას დახმარება. ჟელიგოვსკიმ თავის მხრითაც გააგზავნა რიგაში წარმომადგენლები.

### ახალი კომბინაციები

ბერლინი. 11—11. აქ ამ დღეებში მოლაპარაკება სწარმოებდა პეტლიურას წარმომადგენლებსა და გერმანიის მთავრობის შორის. ბერლინში ყოფილი გეტმანი სკოროპადსკი გაჩნდა. საერთოდ ბერლინი გახდა ცენტრად იმ უკრაინელ მოღვაწეებისა, რომლებიც თავის დროზე უკრაინის ცენტრალურ სახელმწიფოებთან შეერთებას მოითხოვდნენ. პეტლიურას მთავარ შტაბში მოვიდნენ ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის და ბელორუსიის სამხედრო მისიები.

### მღელვარება ირლანდიაში

რიგა. 12—11. ირლანდიაში გრძელდება შეტაკებანი ირლანდიის დამოუკიდებლობის მომხრეებსა და პოლიციის შორის. ბალინალის მახლობლად 17 პოლიციელი მოკლეს. ქალაქ დუბლინში საერთო ჩხრეკა სწარმოებს. მკაცრი ბრძოლის გამო ლონდონმა ქვედა პალატაში წინადადება შეიტანა ირლანდიიდან ინგლისის ჯარების გამოწვევის შესახებ. წინადადება უარყვეს.

იტალიის მთელ რიგი ქალაქებში მღელვარებაა. ვერონაში სოციალისტმა სკოლომბელმა საერთო გაფიცვა გამოაცხადა. დაკრძალვის დროს აღშფოთებულმა მუშებმა შენობებიდან იტალიის ეროვნული დროშები ჩამოხიეს. ყაზარმების წინ ხალხი ყვიროდა: „ძირს ჯარი“. ბოლონიაში მუშათა პარტიებმა გაფიცვა გამოაცხადეს. შეტაკება ხდება აგრეთვე ფლორენციაში, მარიში და კოლომბრიაში. რკინის გზელებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამხედრო ცნობა

მოსკოვი 16 11. მოზირის რაიონში ცვალებადი ხასიათის ბრძოლა სწარმოებს. კოროსტენ-მოზირის მიმართულებით ადგილობრივი ხასიათის ბრძოლა გრძელდება. ლიტინის რაიონში ნოემბრის 15 ჩვენმა ცხენოსნებმა ჯარმა ქალაქი ლიტინი აიღო. პროსკუროვის მიმართულებით ქალაქ ბართან ჩვენ ვძლიეთ მტრის წინააღმდეგობა. ჩვენი ნაწილები დერაჟნის მიუახლოვდენ, წამოიყვანეთ ტყვეები. ყირიმში ნოემბრის 15 სევასტოპოლი ავიღეთ. ნოემბრის 14, სევასტოპოლში და ქ. იალტაში რევოლიუციონური კომიტეტები შესდგა.

მოსკოვი, 17 11. ვრანგელის ჯარის დაღუპვამ დასავლეთ ევროპაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. არის ცნობები, რომ ინგლისი შეერთებულ შტატებში აგიტაციას ეწევა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის სასარგებლოდ. ინგლისის ვაჭრობის მინისტრმა ჰორნმა სორმა პირდაპირ განაცხადა, რომ სანამ რუსეთი ჩამოშორებულია ევროპაზე, მრეწველობის აღდგენა შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა საქონლის გაცვლა გამოცვლის პირობების დაუყონებლივ შემუშავება.

## ტრაპიზონის ცნობები.

ბერძენი „კონსტანტინისტები“ ძლიერ სცდილობენ, რომ ოსმალეთთან დაახლოვებას რეალური სახე მიეცეს, ვენიზელოსის მომხრე გაზეთები ერთხმად გმობენ ამ პოლიტიკას.

— ანატოლიაში მისულა საბჭოთა აზერბაიჯანის წარმომადგენელი სერიოზულ მანდატით.

— სტამბოლის მთავრობის წარმომადგენლები ანგორში მიუღიათ.

— ქემალ ფაშას გადაუწყვეტია სომხეთის ტყვეები ანატოლიაში გაჰგზავნოს.

— ტრაპიზონის ცნობებით ქემალ ფაშას ჯარები ერევნის ახლოს იმყოფებიან და ყარა ბექირ ფაშას ნაბრძანები აქვს სულ რამდენიმე დღეში აიღოს ერევანი.

— ქემალის გაზეთების ცნობით, მას შემდგომ, რაც ყარა ბექირ ფაშას ჯარი გუმბრში შევიდა, საბჭოთა რუსეთს არავითარი რჩევის და არც მეგობრობის გამომხატველი ურთიერთობა არ ჰქონია ქემალის საოლქობასთან.

— სომხეთის წინააღმდეგ ყარა ბექირ ფაშას მოქმედების სრული თავისუფლება აქვს მიცემული. (ბ. ფ.)

## ოსმალეთში

### სევრის ხელშეკრულების გარშემო.

იტალიურ გაზ. „კორიერ დ' იტალია“ სევრის ხელშეკრულების გამო შემდეგს სწერს:

1) „ფინანსიური მხრით საბერძნეთი კიდევ პირობებშია ჩაყენებული; სხვაფრივად რომ ვსთქვათ მოკავშირენი აბარებენ ხელშეკრულების იმ პუნქტებს, რომელიც ცუდს პირობებში ჩააყენებდა ოსმალეთს.

2) სევრის ხელშეკრულების თანახმად დადგენილი საზღვრები სომხეთთან ახლა-ახლა გადასინჯეს ოსმალეთის სასარგებლოდ; სომხეთის ზოგიერთი რაიონები ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვრებში.

უეჭველია ამის საკომპენსაციოდ მუსტაფა ქიამილ ფაშა მოკავშირეებს შეჰპირდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას.“

## ომხეთ ოსმალეთის ომი.

### ოსმალების მოწოდება ყარსში.

ოსმალეთის (ქიამალისტები) სარდლობამ ყარსის ოლქში მოსახლე სომეხთა შორის შემდეგი მოწოდებით.

„სომხეთის ხანგრძლივი ომის მიზეზი რომელმაც სომხეთი სრული განადგურებამდე მიიყვანა არის დაშნაკციუტიუნის პარტია. ჩვენს კეთილ სურვილებს სომხეთის მიმართ დაშნაკციუტიუნის მთავრობა უმალავს თავის ხალხს. დაშნაკცუტიუნი ემსახურება იმპერიალისტებს, რომელთაც ჰსურს ყველა ერის დამორჩილება. დაშნაკცუტიუნი არ ზრუნავს თავისი ხალხის მშვიდობიან ცხოვრებაზე.

სომხეთის ერი ალბად ეხლა მაინც მიხვდება, რომ დღევანდელი მისი უბედურება დაშნაკცუტიუნის პოლიტიკის პირდაპირი შედეგია.

ჩვენი მიზანია დავიცვათ, როგორც ქრისტიანული ისე მუსლიმანური ელემენტები დაშნაკცუტიუნის დამღუპველი და განუხორციელებელი პოლიტიკისაგან, ჩვენ გვინდა სომხეთში ისეთი ნეიტრული მთავრობა იყოს, რომელიც მეგობრული დამოკიდებულებას შეინახავს როგორც ქრისტიანულ ისე მუსლიმანურ სახელმწიფოებთან, და რომელიც ოსმალეთის მთავრობასთან შესძლებს შეთანხმებით მუშაობას.

ჩვენი ძლევამოსილი ლაშქრის წინაშე დაშნაკცუტიუნი ვერ გამაგრდა, დამარცხდა.

ოსმალეთის მთავრობა ღაამყარებს სამართლიან წესრიგს. თქვენ უნდა გაამაგროთ ეს წესრიგი და ყველა მურჩი გაათ. ყველა ვალდებულია 48 საათის განმავლობაში ჩაგვაბაროს ყოველგვარი იარაღი. აღნიშნულ დროს შემდეგ ვისაც აღმოაჩნდება იარაღი და ვინც მალავს შეიარაღებულ სომეხს სამხედრო...

შუში და ჩუმი აგენტი ჩამოხრჩობილი იქნება დაუყონებლივ.

ოსმალეთის დიდი ეროვნული საბჭოს აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალი გენ. ლეიტენანტი კიაზიმ კარაბექირ.

ნოემბრის 1 1920 წ.

## დაღესტანში.

(საკუთარი კორესპოდენტისგან)

იმისდა მიუხედავად, რომ ბოლშევიკები ყოვლად სასტიკ ზომებს ხმარობენ აჯანყებულ დაღესტანის დასამშვიდებლად აჯანყება დღითი დღე იზრდება და ცეცხლის ალივით ედება ახალ-ახალ სოფლებს და ხეობებს.

ამ ჟამად სრულიად გაწმენდილია ბოლშევიკებისაგან ავარიისა, ანდიისა და გუნიბის ოლქები. აჯანყებულების მიერ „წითელ ციხის“ გუნიბის აღება „ეიქმნა ნიშნად ალბად მთელი დაღესტანისათვის და ერთბაშად გადმოხეთქა დაღესტნელთა ყრუ გულისწყრომამ და სურვილმა შურისძიებისა.

ტყვილად სცდილობენ ბოლშევიკების რაზმები აჯანყების ჩაქრობას. ყოველი მათი ცდა უნაყოფოდ რჩება და ხალხის გულისწყრომა ხაცარ ტუცას ადევს მათ. ეს რაზმები შედგენილია ქვემო დაღესტანის მცხოვრებლებთაგან, ბევრია მათ შორის კუმიკებიც რომელნიც იძულებულნი არიან დადგენ ბოლშევიკების დროშის ქვეშ. საბჭოთა რუსეთი წინააღმდეგ შემთხვევაში განადგურებას უქადის მათ სოფლიებს.

ერთი დამსჯელი რაზმი, რომელიც 1000 კაცისაგან შესდგებოდა და თან მრავალი ტყვიისმფრქვეველი ჰქონდა, სულ მთლად ამოსწყვიტეს აჯანყებულებმა კარადახის ხეობაში.

ხუნზახის ციხეში მყოფი ბოლშევიკებიც მომწყვდეულნი არიან და რადგანაც გარედან ველარავინ მიშველებია, დიდ გაჭირვებას, განიცდიან ხუნზახი გალავნით შემორტყმული ყაზარმებია და რაკი აქვთ ამიტომ სძლევენ ამდენ ხანს შიგ მომწყვდეულები. სურსათი მომწყვდეულებს ერთ თვის საკმარისი აქვთ და აჯანყებულებიც დიდის მოთმენით ელიან მათ შიმშილით დაპყრობას, წითლებმა რამდენჯერმე სცადეს მიშველებოდნენ ალყა შემორტყმულ ამხანაგებს ამის გამო თემირხანშურიდან რამდენჯერმე გაგზავნეს რაზმები, მაგრამ ყოველი მათი ცდა ამაოთ გამოდგა, რადგანაც ავარიის ოლქის გადალახვა შეუძლებელი შეიქმნა. უკანასკნელ დროს სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა თემ. ხა. შურიდან 13 ვერსით მოშორებულ გიმბრინის სიმაღლეებზე, სოფელ ერპელია ქელში ჩასაგდებად. მიუხედავად იმისა რომ აჯანყებულებს არა აქვთ საკმაო ტყვია წამალი და ზარბაზნები, ბრძოლის ინიციატივა მაინც მათ ხელშია და ყველაფერიდან სჩანს, რომ წითლების გარეკა უნდათ თ. ხ. შურიდან და მის ოლქიდან თუმცა ამ ჟამად ბოლშევიკები კვლავ ბატონობენ შურისა და ტაბასარის ოლქებში და ამ ოლქებში არც თუ პირი უჩანს აჯანყებას. უკმაყოფილო ვინც იყო გადავიდა არავის ოლქში და იქიდან სცდილობენ თავის საყვარელ სოფლების განთავისუფლებას.

აჯანყებულთა მეთაურათა და სულის ჩამდგმელად ითვლება შვილიშვილი შამილისა, რომელსაც ხალხი დიდად ენდობა და ათაყვანებს, მიუხედავად მისი სიყმაწვილისა. მისიგავლენა იმდენად დიდია, რომ საჩაჩნეთის ყოფილმა იმამმა მას დაუთმო უფროსობა ხელმძღვანელობა და თვითონ თავის სოფელში დაბრუნდა. მეორე თვალსაჩინო ბელადად ითვლება ყოფილი პოლკოვნიკი ლეკი ფიროლოვი.

გრძნობენ რა უძლურებას დაღესტანის დამშვიდების საქმეში ბოლშევიკებმა უკვე წამოაყენეს იდეა დაღესტანისსაბჭოთა, რესპუბლიკის და ამით უნდათ როგორმე დააწყნარონ თავისუფლების მოყვარული დაღესტანი.

ფ—ტ.

## ერ. დემ. სტუდენტთა კომიტეტის ცნობები.

### კომიტეტის სხდომა.

პარასკევს გიორგობისთვის 19 ს საღამოს 8 საათზე სტუდენტთა მთავარ კომიტეტის ბინაზე დანიშნულია სტუდენტთა კომიტეტის სხდომა, რომელზედაც უნდა დაესწრონ საააკადემიო კომისიის წევრებიც.

—

### სტუდენტთა საერთო კრება.

შაბათს გიორგობისთვის 20 ს საღამოს 8 საათისათვის მეორე აუდიტორიაში დანიშნულია სახელ. უნივერ. ერ. დემოკ. სტუდენტთა საერთო კრება, მოხსენებას გააკეთებს დამფ. კრების წევრი ბ ნი ალ. ათიანი საქართველოს დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

—

### მეორე უბნის კომიტეტის სხდომა.

პარასკევს გიორგობისთვის 19 ს საღამოს 6 საათისათვის დანიშნულია მეორე უბნის ერ. დემ. პარ. კომიტეტის სხდომა რომელზედაც მოვალენი არიან ათისთავებიც დაესწრონ.

## ახალი ამბები.

### სამინისტროებში.

— ფინანსთა სამინისტროს საბჭოში. ფინანსთა სამინისტროს საბჭოს ნოემბრის 15 გამართულ სხდომაზე განიხილეს საკითხები: 1) ქუთაისის სააქციონერო ბანკის წესდებისა. 2) ყვირილის სააქციონერო ბანკისა და ქიზიყ-კახეთის სავაჭრო სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო ბანკის დამტკიცების შესახებ. საკითხების განხილვის შემდეგ საბჭომ დაადგინა დართოს ნება აღნიშნულ ბანკების დაარსებისა და სთხოვოს ფინანსთა მინისტრს დაამტკიცოს მათი წესდებები.

საბჭომ მოიწონა აგრეთვე საკითხი ტფილისის მეორე საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ტფილისის სავაჭრო სამრეწველო ბანკათ გადაკეთების შესახებ ძირითადი თანხის გადიდებით, საკითხი საერთოდ საბ ჟო ტარიფის შესახებ გადაიდვა შემდეგ სხდომისათვის, რომელზედაც მოიწვევენ მომარაგების სამინისტროს და სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლებს.

ფინანსთა ვაჭრობა და სამრეწველოს სამინისტრომ დაამტკიცა წესდება ახალ სააქციონერო საზოგადოებისა შინაურ და საგარეო ვაჭრობის შესახებ. წესდება გამოსაქვეყნებლათ სენატს გადაეგზავნა. ახალ საზოგადოებას აქვს მიზნათ ქარხნების, ფაბრიკების და სხვ. საწარმოვო დაწესებულებების მოწყობა, რომ ამ გზით განავითაროს რესპუბლიკის მრეწველობა.

ფინანსთა სამინისტროში დანიშნულია კრება ტფილისის და მისი მაზრის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტორებისა.

კონსტანტინოპოლში მყოფი საქართველოს სამინისტროს ეკონომიური აგენტი იუწყება: უკანასკნელ დღეებში ამერიკისა და იაპონიის წარმომადგენლებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ მიყიდონ საქართველოს გემები, ამასთანავე ამერიკელები ითხოვენ გემების საფასურის არა ფულით, არამედ მარგანეცით გადახდას. ეკონომიური აგენტი სთხოვს ფინანსთა სამინისტროს სახელმძღვანელო დირექტივებს. ამასთანავე კონსტანტინოპოლიდგან იუწყებიან: აქ საკონსულო გაიხსნა ინტერესი საქართველოს ნავთსადგურებსა და კონსტანტინოპოლის შორის გემების წესიერ მიმოსვლის მოწყობის ირგვლივ. ევროპას მრეწველები საქართველოს მარგანეცით და ქვანახშირით... და საგანგებო სავაჭრო საზოგადოება, რომლის მიზანსაც საქართველოსა და ევროპის შორის სამგზავრო და საბარგო გემების მიმოსვლა შეადგენს.

საარქეოლოგიო საზოგადოებაში. დღეს საღამოს ექვსის ნახევარ საათ. საქართველოს მუზეუმის დარბაზში (ლორის მელიქოვის ქუჩა № 10) მოხდება საარქეოლოგიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საჯარო კრება; მოხსენებები: 1) კონსტანტინე თუმანოვისა „ამიერ კავკასიის ისტორიის ახალი მასალების შესახებ“ და 2) დიმიტრი გორდეევის „არქეოლოგიური მოგზაურობა ასპინძის-წყლის რაიონში“.

სისხლის სამართლის მილიციამ შულავერში შეიპყრო ის კა ლორთქიფანიძე, რომელიც ოქტომბერში ქ. თბილისში მეცხრე უბნის გამომძიებლის კამერიდან გაიქცა.

— ამავე მილიციამ შეიპყრო ნადეჟდა ლომავა, რომელსაც 100,000 მან ნივთების მოპარვა ბრალდება.

— 16 ნოემბერს ბახშა ალასკეროლმა განუცხადა მილიციას, რომ ჩემი ბინიდან 600,000 მან. ღირებული ხალიჩები და ნივთები მომპარესო. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ეს ნივთები მოუპარავს მომჩივანის შვილს თადო თურქესტანოვს. ნაწილი ნაპოვნი ნივთებისა პატრონს დაუბრუნეს.

—სოფლის ოქმები გორის მაზ. სოფ. მოხისის და ძველ-ფლევის სამრევლოებმა ოქმები შეაყენეს სამღვთო სჯულის სწავლების შესახებ; დედანი ამ ოქმებისა გაუგზავნიათ დამფუძნებელ კრებაში, ერთი პირი სასულიერო მთავრობასთან და მეორე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში. ხსენებული მრევლები გამოსთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი მთავრობა გამსჭვალულია ხალხის სიყვარულით და რომ იგი გამომხატველია მისი სურვილებისა, ამისათვის მათ ოქმში დაადგინეს: 1) „ეთხოვოს დამფუძნებელ კრებას კვირაში, გარდა კვირა უქმე დღეებისა, ერთი დღე მოსწავლეები განთავისუფლებულ იქმნენ ყოველივე სამოსწავლო მეცადინეობისაგან, რომ ამ დღეს მშობლებმა თავის შვილებს ასწავლონ სამღვთო სჯული ან ქრისტიანულ ზნეობრივ რალი. 2. ამ თავისუფალ დღეს ნება მიეცეს სამღვთო სჯულის მასწავლებელს დაუბრკოლებლად ისარგებლონ სკოლის...

## ჩვენი ბანკები და კრედიტი

ჩვენს ბანკებს იმდენი მოთხოვნილება მიაწვა, რომ იძულებული შეიქნენ სახელმწიფო ხაზინისათვის მიემართათ, სუბსიდიის სათხოვნელად;—ჯერ-ჯერობით მიმართეს სახელმწიფო ბანკმა და ცენტრო ბანკმა. ფინანსთა სამინისტროც იძულებული იქნება ბანკების ეს მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, ისეთია დღეს ალებ-მიცემობის კონიუნკტურა.. თედო ღლონტის აზრით კი, ჩვენი ბანკების სალარო ფულებით ჭარბენილია, მაგრამ იქიდან უხვად სარგებლობენ კერძო პირები, სპეკულიანტები, და არა საზოგადოებანი. მისი აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენი ბანკები ნაციონალ-დემოკრატების ხელშია. მაგრამ უბედურება იმაშია ბ. ღლონტის აზრით, რომ „ჩვენ არა გვყავს სამრეწველო ბურჟუაზია და საიმისო ინტელიგენცია; ჩვენი ბურჟუაზია სპეკულიანტურია; იმათ თავს უყრის ჩვენი ბანკები, რომლებიც ნ.-დ. ხელშია და ესენი ხელ-ჩაკიდებულნი ამწყვდევენ სიძვირეს და მიგვიყვანენ კატასტროფისაკენ.“ ბ. ღლონტს ციფრებიც მოყავს სახელმწიფო ბანკის 1—ბალანსიდან: ბანკს ჰქონია მიბარებული კერძო პირთაგან 220,4 მილ. მანეთი; საზოგადო სახელმწიფოსი 527,9 მილ. მან. ბანკს გაუცია სესხი თამასუქ. და საქონლის დაგირავებით კერძო პირებზე 81,3 მილ. მან.; საზოგადოებებზე 56,1 მილ. მან. ბ. ღლონტი უპირდაპირებს ამ ორ ციფრს ერთი მეორეს და აღნიშნავს, კერძო პირთათვის უფრო მეტი სესხი მიუციათ, ვინემ საზოგადოებებისათვის. ეს საკმარისია მისთვის, რომ ბანკებში ასტეხოს და მოითხოვოს ბანკები ჩამოერთვას ნაც. დ. და გადაეცეს „წმინდა დემოკრატებს“, რათა „ჩვენში განმტკიცებული იქნას „ნამდვილი დემოკრატიული“ ეკონომიური პოლიტიკა.

ჯერ ჯეროვით მცირედი შენიშვნა ანგარიშისათვის. ბ. ღლონტის ანგარიშით სახელმწიფო ბანკის თანხის ჯამი არის 748,4 მილ. მან., საიდან კერძო პირების მიერ მიბარებული 220,4 მილ. მან. ბანკს სესხად გაუცია სულ 137,4 მილ. მან. ე. ი. ციტეთი ნაკლები იმ თანხისა, რაც მისთვის კერძო პირებს მიუბარებია, ხოლო სახელმწიფო და საზოგადო ფულისათვის ჯერ ხელი არ უხლია. რად მოხდა ეს? თედო ღლონტს, ეტყობა, ამ სათვის თავი ვერ გაურთმევია, რადგან მისი ფინანსიური ნიჭი და ცოდნა საკმარისია მხოლოდ „მეურნე-ისათვის. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო ბანკს ხაზინიდან გადაეცა სათავნო თანხად 200 მილ. მან., დანარჩენი მიბარებული აქვს მომარაგების სამინისტროდან და ამ მიბარებულ ფულს ხელს ვერ ახლებს, რადგან არ უწყის როდის მოსთხოვენ. ხოლო თავისი 200 მილ. მან. კერძო პირთათვის არ გაუცია, მაგრამ ვერც კოოპერატივებისათვის მიუცია, რადგან მოთხოვნილება საშვალებას აღემატება ბევრად, და სამართლიანობისათვის, საჭიროა პროპორციული განაწილება. ეს განაწილება კი უნდა მოახდინოს ბანკის საბჭომ, მაგრამ საჭიროა მასალის დაგროვება და ამას კი დრო უნდა.

ბ. ღლონტი სწერს, ჩვენ არა გვყავს სამრეწველო ბურჟუაზია და საამისო ინტელიგენციაო, და ამიტომ ჩვენში გამეფებულია სპეკულიაცია და ჩარჩობაო. აქ დემაგოგობა სჭარბობს სერიოზულობას. ღლონტმა უნდა იცოდეს რომ სპეკულიაცია ნორმალ ვითარებად გადაიქცა სოციალისტური ეკონომიური შემოქმედების წყალობით და რომ დღეს არავინ არ იცის ვინ უფრო სპეკულიანტობს: ბანკი, კერძო ვაჭარი, მთავრობა, მუნიციპალიტეტი ერობა თუ ბ-ნ თ. ღლონტი თავის კოოპერატივ „ხანმარებაშიო?“ რაც შეეხება სამრეწველო ბურჟუაზიისა და მის ინტელიგენციის უყოლობას, ეს იმდენათ მართალია, რამდენადაც მართალია ჩვენში სამრ. პროლეტარიატის უყოლობა და სოციალისტური ინტელიგენციის უნიადაგობა. მაგრამ სამრეწველო ბურჟუაზიის არსებობა კიდევ უფრო დაღებითად უნდა იქმნეს დახასიათებული, ვიდრე ამ ზემოხსენებულ შედარებაში. ვინც გაცნობილია ყველა იმ შუამდგომლობასთან, რომელიც ჩვენს ახლად ფეხ ადგმულ მრეწველ. ბურჟუაზიას აღუძრავს სამინისტროების წინაშე, ის დარწმუნდებოდა რომ ამ წრეში დიდი სურვილია შექმნან ცოცხალი საქმე, მრეწველობის სხვა და სხვა დარგები. რომ ამ მთავრობის პოლიტიკის პრინციპიული მტრობა ბურჟუაზიული თოსნობისა, მაშასადამე, ბურჟუაზიული გავლენის გაძლიერების მიმართ ამგვარ შუამდგომლობას მიწაში ასამარებდა. აბას გარდა რა მრეწველობის შექმნაზედ შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც მუშები კვირაში ნაცვლად 48 საათისა ფაქტიურად მხოლოდ 16 საათს მუშაობენ. ეს გარემოება თვით მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა ეკონომიურ თათბირზე. მუშები დღეს გაბატონებულია პროფესიული კავშირების წყალობით და რომელსაც უნდათ იმ წარმოებას ჩაახჩობენ. ჩვენ არ ვიცით, რომელ პოლიტიკას უწოდებს ბ. ღლონტი „ნამდვილ დემოკრატიულ ეკონომიურ პოლიტიკას“, მაგრამ ნამდვილად ვიცით, რომ ჩვენი მენშევიკების პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებულია დღეს მეწარმეები და მომთავაზების სამინისტრო, და ხან და ხან, როცა საჭირო შეიქნება, კიდევ წითელი გვარდია;

თედო ღლონტის ტენდენციაა ჩამოართვას ბანკები ნაც. დემ. და გადასცეს „წმინდა დემოკრატებს“, რომ მათ სპეკულიანტები ჩამოაშოროს და „საზოგადოებრიობას“ ემსახუროს. მაგრამ განა მომარაგების სამინისტრო ბანკებზე ნაკლები ფაქტორია ჩვენი ეკონომიკისათვის? ამ სამინისტროში გადასცეს საფინანსო სამინისტროდან ყველა მნიშვნელოვანი სავაჭრო—სამრეწველო საკითხები, და ეს სამინისტრო კი „წმინდა დემოკრატებს“ აბარია. მაგრამ განა ამ სამინისტროს გარს არ ახვევია სპეკულიანტები, და ისიც უარესის ჯურისა; განა ამ სამინისტრომ არ გააჩინა ...... კრიზისი; განა მან არ მოაწამლა მუშა-მოხელენი პურის სუროგატით? რა გარანტიას იძლევა თედო ღლონტი, როცა ის ხელთ იგდებს ჩვენ ბანკებს, რომ მათ სპეკულიანტებს ჩამოაშორებს? თვითონვე აღიარებს, რომ ჩვენში მრეწველობა არ არის, არის მხოლოდ სპეკულიაცია და ჩარჩული ვაჭრობა; მაშ მისი, თედო ღლონტის, კლიენტებიც სპეკულიანტები იქნებიან, და თუ ამათ ჩამოიშორებს, მაშინ ბანკები გაკოტრდებიან და მათ ადგილს დაიჭერს კერძო ფარული დისკონტრი, რომელიც დღესაც კარგათ მუშაობს. იქნება მასკოოპერატივების იმედი აქვს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კოოპერატივები სპეკულიანტებზე ნაკლები პროცენტებს არ სჯერდებიან და ამასთან იმ სპეკულიანტების მიერ ჩამოტანილი საქონლით ვაჭრობენ. წარმოვიდგინოთ, რომ ერთის დაკვრით ერთს დღეს მოვსპეთ ყველა სპეკულიანტები საქართველოში. ჩვენ ვარწმუნებთ ბ. ღლონტს, რომ ერთ თვეში ყველა კოოპერატივები საქონლისაგან დაიცლებიან და ახალის შეძენას ვეღარ მოახერხებენ. ჩვენ კიდევ ვიმეორებთ რომ სპეკულიაცია წარმოიშვა ჩვენი საერთო ეკონომიური საფუძვლის დაავადმყოფების ნიადაგზე. სავადმყოფობა კიდევ მოიტანა სოციალისტების რევოლიუციურმა ბატონობამ. და თქვენ რომ დღეს ერთი ფიზიკური პიროვნება — სპეკულიანტი მოსპოთ, ხვალ სპეკულიანტად მეორე გადაიქცევა. ბოროტება სოციალისტები ეკონომიურ პოლიტიკაში და თუ განდევნით ჩვენში სპეკულიაცია მოისპობა, თქვენ ეს პოლიტიკა უნდა უკუ აგდოთ.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენს ბანკებს ფული უჭირთ. არა თუ ბანკებს,—ჩვენში საზოგადოთ ფულის სიძვირეა. შეიძლება ეს მკითხველს პარადოქსათ მოეჩვენოს, მაგრამ ეს მაინც ასეა ჩვენში 9 მილიარდი მანეთი ტრიალებს, და ფული მაინც არ კმარა არა თუ მრეწველობისათვის, არამედ იმ მცირე ვაჭრობისათვის, რომ ლიც ჩვენში წარმოებს, ყველა საქართველოს ბანკები ამ აურიცხველ ფულიდან ერთი მეათედს თუ აწარმოებენ, დანარჩენი ბანკს გარეშე ტრიალებს, იმიტომ რომ ფულს არა სცალია იმისთვის რომ ბანკში თავი შეინახოს,—

ბანკები ცოტა პროცენტებს იძლევიან ბანკები თავის კლიენტებისაგან დიდ პროცენტებს იღებდნენ დღემდე, 60—72 პროცენტებს მაგრამ კერძო დისკონტის პროცენტი ბევრათ უფრო დიდი იყო,—120—180 პროცენტები, და ამ კერძო დისკონტს დიდი გასავალი აქვს. ეს იმიტომ რომ ფული უჭირს ჩვენ ვაჭრობას. ომამდე სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა პეტერბურგიდან წლიურად ღებულობდა „დასახმარებლად“ ცხრა მილიონი მანეთს მთელი კავკასიისათვის. ვარაუდად მივიღოთ, რომ საქართველოში ტრიალებდა ათი მილიონი მან., მაშინ უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ ამ ათი მილიონს ასი მილიონის კრედიტი ჰქონდა. ჩვენი ქვეყანა აწარმოებდა ვაჭრობას რუსეთთან, და ჩვენი ვაჭრებს რუსეთში დიდი კრედიტი ჰქონდა გახსნილი; აქ სადაც ათი მილიონი ნაღდი ტრიალებდა, უთუოდ ასი მილიონის ვექსილები იტრიალებდა; ასეთი იყო პროპორცია ნაღდ ფულსა და კრედიტის შორის. დღეს ჩვენი ვაჭრობისათვის კრედიტი სრულებით მოსპობილია; ჩვენი ვაჭრობა სავსებით ნაღდზე წარმოებს, ჩვენი ფულების ღირებულება კი მეტად დაცემულია, და იმედიც არ არის მისი აწევის, პირიქით, უნდა მოველოდეთ კიდევ დაცემას.

ამისთანა პირობებში ჩვენი გაჭირვებული ვაჭრობა ამიერიდან უფრო გასაჭირში ჩავარდება, და ვერავითარი ხაზინის სუბსიდია ბანკებისადმი გადებულ ამას ვერ უშველის. ერთად ერთი საშველია უცხოეთთან ეკონომიური განწყობილების მოგვარება და კრედიტის გახსნა, როგორც ევროპასთან, ისე ჩრდ. ამ. შეერთებულ შტატებთან; და თუ იტყვით,—უფრო ამ უკანასკნელთან. მაგრამ ამ განწყობილების მოსაგვარებლად ჩვენი სოციალისტების პოლიტიკა კი არ არის გამოსადეგი, არამედ სწორედ ის „წყეული“ ეკონომიური პოლიტიკა და დოქტრინა, რომელსაც აწარმოებენ და ატარებენ „კაცი—მჭამლი“ ნაციონალ-დემოკრატები!

დოც. მუ.

## თავდაცვის გარშემო.

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ქალაქის თვითმართველობის დამხმარე მთავარი კომიტეტის სხდომა. ფრონტის კომიტეტის წევრად ითვლებიან: ქრისტინე შარაშიძე (დამფუძ. დრო კომისიის წევრი), ფანცხავა (მუშათა პროფეს. კავშირების წარმომადგენელი), ი. ცინცაძე (სახალხო გვარდიის წარმომადგენელი), ტიტე ართმელაძე (რესპუბლიკის ჯარის წარმომადგენელი), მ. ლაღიძე (ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენელი), მაკ. ჩხენკელისა, ნინო გაბაშვილისა, მარ რამიშვილისა, სოლ. დოლიძე, ო. გეგეჭკორისა, ანდრონიკაშვილისა, პელ. კიკვიძისა, გრ. ლორთქიფანიძე, ნინო გიორგაძისა, მილ. ბახტაძისა, ელ. ელიავასი, გიორგი ანდღულაძე, ძიძიშვილისა, კვინიტაძისა, ნ. ანდღულაძისა და სერ. ქორქოლიანი. (კომიტეტის თავ ჯდომარე).

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის დადგენილებით კომიტეტის სხდომაზე, რომელიც შესდგება ხუთშაბათს 18 ნოემბერს, სრულ საღ. 7. საათზე, ქალ. თვითმართველობის დარბაზში მოწვეულნი არიან გარდა უკვე კომიტეტში წარმოდგენილ ორგანიზაციებისა შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენელნი: პარტიათა, ეროვნულ უმცირესობათა, კოოპერატივთა, რკინის გზის, ერობის, ქალაქის, ქალაქთა კავშირის, სახალხო უნივერსიტეტის, წითელი ჯვრის „ჩემო“ ბანკები, ფაბრიკანტებისა და მექარხნეების საზოგადოებისა, სტუდენტების, პრესის, დეპეშათა სააგენტოს, სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის მეღვინეთა, მეცხვარეთა, მოსწავლე ახალგაზრდათა და აგრეთვე კერძო პირები არავის უწყება არ გაეგზავნება. იმედია ყველა აღნიშნული ორგანიზაცია მხურვალე მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის დაცვის საქმეში სხდომაზე დასწრებით.

## † ვლადიმერ ესტატეს-ძე შატბერაშვილი.

კვირას 14 ნოემბერს, თფილისში, წმ. ნინოს სასაფლაოზედ დაასაფლავეს ვლადიმერ ესტატეს ძე შატბერაშვილი, ხელობით მეკაზმე.

საკაზმავი სახელოსნო მას აქონდა ქაროვასლაში ერთ თავათ მზადდებოდა ქართული წიგნები და ქართული მთავრობის საქმეები.

თვით ვლადიმერი იყო ქართველობ-ს დიდიმოყვარე და ქართველი მწიგნობარი, იგი ყველა ქართულ საქმეებს დიდათ თანაუგრძნობდა. იყო წევრი ნაციონალურის წრის და ერთ დროს, მთავრობის მაშველს ჯარშიაც ჩაეწერა და თოფქვეშ გავიდა განსვენებულის ქართული წიგნების გამოცემასაც მისდევდა ამ ბოლო დროს მან დაბეჭდა წიგნათ „ლიუტერის სჯულის ქართველები საქართველოში.“

## ავუიას

## პატარა ფელეტონი

### არა სოციალისტურ დელეგაციის მოხვლა საქიოდან.

(ფანტაზია)

2.

დელეგაციის მსვლელობის ცნობები მხოლოდ დღეს მივიღეთ ბათომიდან, ვინაიდან ხათომ მაღალის გაზადვის გამო საქართველოდან საზღვარ გარედ, რომელიც ჩვენი მხურვალე უთავბოლობით და ბოლშევიკების წყალობით მოხდა, ფოსტა ბათომიდან ცხრა ულლიან დიდი საძნე ურმით, მხოლოდ დღეს მოვიდა ტფილისში.

ამით აიხსნება რომ ჩემი ფელეტონის გაგრძელება იბეჭდება დაგვიანებით.

**დელეგაცია ბათუმში.**

დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა აზიზიეს მოედანი საიქიოდან მოსულ დელეგაციის შეხვედრის დღეს. ამინდმაც ხელი შეუწყო.

მთელი მოედანი აზლვავებულ ხალხს დაეფარა, მიუხედავად „ცეკას“ შიკრიკის სილიბისტრო კვაჭანტირაძის საწინააღმდეგო აგიტაციისა, შეგნებულ და შეუგნებელ პროლეტარიატის შორის.

აქ იყვნენ წარმომადგენელნი საქართველოს ყველა კუთხისა, წოდებისა და მდგომარეობის მიხედვით: სამუსლიმანო საქართველოსი, მესხეთ-ჯავახეთის, თუშფშავ ხევსურეთის, დიდი კლარჯეთის, მთიულების, საინგილოს, სვანეთ ქ.ნეთის და თვით დიდი ქალაქ ტფილისისა. ხევსურნი ჩაჩქან აბჯარში ჩამსხდარნი სიხარულით ცას ეწეოდნენ და თამარისა და ერეკლე მეფის მზერით ვერ სძღებოდენ: ფილიპე მახარაძე კი, გატეხილ კოკით ხელში, სულმნათ ილიას რაღაცაზე მოკრძალებით ესაუბრებოდა..

დელეგაციის შეხვედრისას საქართველოს ეროვნულმა გუნდმა და სიმებიან ორკესტრმა შეასრულა პირველად იმ დღემდის ნება დაურთველი ცენზურისაგან ეროვნული ჰიმნი კომპოზიტორ სულხანიშვილისა კომპ. ჩერეპნინის დირიჟორობით, რომელიც დიდი ალტაცებული იყო ამ ჰიმნით წინეთ და დღემდის ამ გრძნობას ჩუმად ატარებდა. ქუდ მოხდილ ხალხმა ჰიმნი რამდენჯერმე გაამეორებინა გუნდს და სულხანიშვილს დაფნის გვირგვინი მიართვეს.

ეროვნულ ჰიმნის შესრულების შემდეგ დელეგაციას პირველი მისალმების სიტყვით მიმართა საქართველოს კათალიკოსმა ლეონიდემ რომელმაც ჰლოცვით: „ვარდმოიხილეთ სულმნათნო და აკურთხეთ კვლავ ვენახი ეს, საქართველო, რომელიც დარგეთ კურთხეულ მარჯვენით თქვენით და იხილეთ რა მიუვიდა ვენახსა ამას“.

მენი . (რიგს გარეშე) ვენახსა მაგას, ...

ლიზმის თესლი, რომელმაც დედამიწის ზურგის ნიადაგზე ვერ იხეირა ჩვენ ნიადაგ გარეშე და პროლეტარიატთა გონება დაათრო, გაართო, სულს კი არ მიეკარა, მაგრამ სული რა სათქმელია, სული ხომ ეშმაკისაა....

იაკობ გოგებაშვილი. ნება მიბოძეთ სულმნათნო ჩემი „დედაენის" პირით მოგმართოთ თხოვნით და

„მოდი ვნახოთ ეს ვენახი, რამ შეჭამა ვენახი?

ყველანი ერთხმად დასთანხმდენ. სიტყვას პირველად ილებს კათალიკოსი მისი უწმინდესობ ლეონიდე: მოდით ნახეთ რჯული, თუ გინდ სამღთო სჯული!

პირველი მოძღვარი: ვინ შეჭამა რჯული?

ხმა №1 ჩვენ შევჭამეთ რჯული და თვით სამღთო სჯული.

ი. ანდრონიკაშვილი. მოდით ნახეთ ბათომი!

გრ. ვოლსკი. ვინ შეჭამა ბათომი?

ხმა №1. ჩვენ შევჭამეთ ბათომი.

მემედ ბეგი. მოდით ნახეთ მუსლიმანნი თქვენნი!

ილია. ვინ შეჭამა ისინი?

ხმა №1. ჩვენ შევჭამეთ იგინი; (აქ ბენიას რაღაც უნდა ეთქვა. მაგრამ ვერ მოახერხა და სდუმე არჩია!).

შემდეგ დაიწყო საქართველოს კუთხეთა დელეგატთა თხოვნანი:

იმერეთის. მოდი ნახეთ იმერეთი!

აკაკი. ვინ შეჭამა იმერეთი?

ხმა №1. ჩვენ შევჭამეთ მაგიც.

გურიის. მოდი ნახეთ გურიაც!

მამია გურიელი. ვინ შეჭამა გურია?

ხმა №1. ჩვენ შევჭამეთ გურიაც.

სამეგრელო. მოდით ნახეთ სამეგრელოც.

ივ. ყიფშიძე. ვინ შეჭამა ჩემი სათუთ ხელით აღწერილი სამეგრელო?

ხმა №1. ჩვენ შევჭამეთ ბოშო.

ქართლი. მოდით ნახეთ ქართლიც.

ალ. ფრონელი ვინ შეჭამა ქართლი?

ხმა №1. ჯერ მიწის ძვრამ, რაც გადარჩა ჩვენ!

კახეთი. მოდით ნახეთ კახეთიც

გრ. ორბელიანი. ვინ შეჭამა კახეთი?

ხმა №1. ჯერ ფილოქსერამ, შემდეგ ჩვენ.

თუშ-ფშავხევსურეთი. მოდით ნახეთ თუშნი ფშავნი ხევსურნი

ერეკლე. (აღელვებული) ვინ გაბედა და შეჭამა ჩემი ერთგულნი და თვალის ჩინნი?

ხმა №1. ჩვენ შევყლაპეთ ეგენიც, თუმც სულ მთლად არა, ნაწილი შალვა ქარუმიძემ გადაარჩინა, ვერ მოვასწარით...

ირაკლი ბრაზე მორეული ხმალზე ხელს იკრავს. სულმნათ თამარს გული მისდის შოთას მკლავზე, წყლით ასულიერებენ. ყრილობა დასევდიანებული ნელ ნელა იშლება.

(გაგრძელება იქნება)

## ღენ. მაზნიაშვილის და სხვ. საქმე

**სასამართლოს მატიანე.**

ამ თვის 19-ში საქართველოს სამხედრო სასამართლოში დაიწყება „ახალციხის ფრონტზე მომხდარ ამბების და ახალციხის დატოვების შესახებ" საქმის გარჩევა.

ამ საქმეში ხუთი ბრალდებულია: ღენერალი გიორგი ივანესძე მაზნიაშვილი, ღენერალი არტემონ მურზაყანის ძე ჯიჯიხია, შტაბს-კაპიტანი პავლე პეტრესძე ნაზარეიშვილი, შტაბ-როტმისტრი ილია ივანესძე მამულაიშვილი და უმცროსი ოფიცერი მიხეილ ზაქარიას ძე კანდელაკი.

მათ ბრალათ ედებათ შემდეგი:

ღენერალ მაზნიაშვილს მასში, რომ მისვლისთანავე ახალციხის მაზრაში აჯანყებულ თათრების წინააღმდეგ მომქმედ ჯარების სარდლად დანიშნული, მან სამხედრო მოქმედების წარმოების დროს 5 თებერვალს 1919 წ. პირადი მოსაზრებით აცნობა №69 დეპეშით სამხედრო მინისტრს და ღენერალურ შტაბის უფროსს სოფ. ჩიხელ ჩურჩუტის აღებაზე, რასაც ნამდვილად კი ადგილი არ ჰქონდა და გამოდგა ყალბ ცნობათ.

მეორე მასში, რომ ახალციხის ფრონტზე, თუმცა იგი დარწმუნდა, როგორც ამ ოპერაციების მომქმედი პირი, მიწვდენილ ცნობების არა სისწორეში, მან პირადი მოსაზრებით გაგზავნილი ცნობები აღნიშნული პირველ ბრალდებითი მუხლში შემდეგშიაც არ შეასწორა.

მესამე—მასში, რომ 11—13 თებერვალს მან არ გასცა სათანადო განკარგულება ჯარის უკან დახევის შესახებ, რითაც დაუშვა ჯარების ბრძოლის ველიდან უწესრიგოდ გამოქცევა, და არ მიიღო ზომები სახელმწიფო ქონების ევაკუაციაზედ, რასაც მათი მტრის ხელში ჩავარდნა მოჰყვა.

მეოთხე—მასში, რომ იქვე და იმავე დროს მან იცოდა რა მცირე რაოდენობა ჯარისა, რომელიც არა ჰყოფნიდა ფრონტს მათი დაღლილობა და მოუმზადებლობა, და რომ ჯარისკაცები თავის ნებით სტოვებდნენ სიმაგრეებს, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე მათ არ უტევდა, არ მიიღო არავითარი ზომები მოესპო ყველაფერი ეს და გადაერჩინა ჯარი არევ დარევისაგან, რასაც მოჰყვა დიდი დანაკლისი და ქ. ახალციხის 11 თებერვალს თავის ნებით დატოვება ჯარისაგან.

ყველა ეს ბრალდებანი გათვალისწინებულნი არიან დამფუძნებელ კრების 31 იანვრის 1919 წლის 27 მუხლით, სამხ. დებ. კრებ. წიგნ. 22—მე 2 ნაწ. 257, მე 2 ნაწ. 256 და 144 და მე 2 ნახევ. 155 მუხლებისა.

ღენერალ ჯიჯიხიას ბრალად ედება ის, რომ ზემოაღნიშნულ სამხედრო მოქმედების დროს, როდესაც ასრულებდა შტაბის უფროსის თანამდებობას 11 თებერვალს შუადღის შემდეგ არ ჰქონდა რა არავითარი ბრძანება მომქმედ ჯარების ფრონტის სარდლის ღენ. მაზნიაშვილისაგან ჯარის უკან დახევაზედ, თავის ნებით უბრძანა შტაბს ჩაეწყო ბარგი და გასულიყო ახალციხიდან, ამასთანავე არ შეატყობინა ამის შესახებ არც ახალციხის გარნიზონს, არც იმის წინამდგომ ჯარის ნაწილებს, რასაც მოჰყვა დიდი არევ-დარევა და თვალსაჩინო ზიანი ე. ი. 141 და მე2 ნახევარი 145 მუხლ. იმავე კრებულის.

შტაბს-კაპიტან ნაზარეიშვილს ბრალი ედება მასში, რომ 30 იანვარს 1919 წ. სამხედრო მოქმედების დროს არ შეასრულა წინალამეს საბინაო უბნის რაზმის უფროსის პოლკოვნიკ კერესელიძისაგან მიცემული სამხედრო ბრძანება წარბასთუმანის მაღლა მდებარე მწვერვალის აღების შესახებ. რამაც გამოიწვია რაზმის დამარცხება, უკან დახევა და ქართული ლეგიონის და ვალე-ნეოხრების ფრთის სასტიკი განადგურება, ე. ი. იმ მოქმედებაში, რომელიც გათვალისწინებულია 243-ს მ. სამხედრო კრებულის მე-22 წიგნ.

შტაბს-როტმისტრ მამულაიშვილს ბრალი ედება მასში, რომ 13 თებერვალს 1919 წ. სოფ. დვირში, სამხედრო მოქმედების დროს, როდესაც შტაბის უფროსმა ღენ. ჯიჯიხიამ უბრძანა მას წასულიყო ესკადრონით სოფ. საკირის სადარაჯოთ და მტრის საზვერავად, რომ ბორჯომში მიმავალი გზა მოწინააღმდეგეებს არ გადაეჭრათ, მიუხედავად, იმისა, რომ გენ. ჯიჯიხიამ გაუმეორა ბრძანება, მან, მამულაიშვილმა, ეს ბრძანება არ შეასრულა და ესკადრონს გაჰყვნენ ორი მეოთხე ქვეითა პოლკის ოფიცრები კვიტაშვილი და ჩიტაშვილი, ე. ი. იმ მოქმედებაში, რომელიც გათვალისწინებულია 245—1 მ. სამხ. კრ. 22 წიგნ.

ოფიცერ კანდელაკს ბრალი ედება მასში, რომ იქვე და იმავე, წინა მუხლში აღნიშნულ დროს, როდესაც შტაბროტმისტრმა მამულაიშვილმა არ შეასრულა შტაბის უფროსის ღენ. ჯიჯიხიას ბრძანება, მან, კანდელაკმა, მიიღო რა ამგვარივე არა ერთხელ განმეორებული ბრძანება წასულიყო ესკადრონით სოფ. საკირის დასაჭერად და მტრის საზვერავად, ეს ბრძანება არ შეასრულა და ესკადრონს არ გაჰყვა, ე. ი. იმ მოქმედებაში, რომელიც გათვალისწინებულია 244—1 მ. იმავე სამხედრო კრებულით.

ბრალდებულებს იცავენ: ღენ. მაზნიაშვილს—ნაფიცი ვექ. ალექსი მესხიშვილი და ნაფ. ვექ. თანაშემწე ჯავახიშვილი, ღენ. ჯიჯიხიას—ნაფ. ვექ. ელიავა და დამფუძნებელ კრების წევრი თევზაია, მამულაიშვილს—ნაფ. ვექ. ბარათაშვილი.

## სამხატვრო ქრონიკა.

**სახელმწიფო ოპერის თეატრში.**

ნოემბრის 18-ს: კოტე და ქეთო.

ნოემბრის 19-ს: პირველად ქართულ სცენაზე ლალატი მისიკა იპოლიტოვ-ივანოვესა, თარგმანი ფოცხვერაშვილისა. სიუჟეტი აღებულია ალ. სუმბათაშვილის ცნობილი ტრაღედია „ღალატიდან. ზეინაბის როლს შეასრულებს ალეშკო, რუქაიას—ბურაგო-ცეხანოვსკაია, ირაკლის—სარაჯიშვილი, ოთარ ბეგის—ელიოზაშვილი, სულეიმანს—საბანინი. დეკორაციები და კოსტიუმები ახალი; ბალეტს დადგამს მ. მორდკინი ოპერას დადგამს ა. რ. წუწუნავა. დირიჟორი—სტოლერმანი.

ნოემბრის 20 ს: რუსალკა.

ნოემბრის 21-ს: მორდკინის ბალეტი „კოპელია"

ნოემბრის 22 ს: ღალატი.

დასაწყისი 8 საათ.

**სახელმწიფო დრამის თეატრში.**

ნოემბრის 20 ს: უგვირგვინო მეფენი; ალ. შანშიაშვილისა.

ახალი დეკორაციები და ტანისამოსი მხატვრის ვალ. სვიმონ-ერისთავისა, აკ. ფალავას რეჟისორობით.

## ნაფ. ვექილის სამ. დადიანის საყურადღებოდ.

სამსონ დადიანმა გაზ. „სახალხო საქმის" ნოემბრის 10 ს № 314 მოათავსა კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზ. „კახეთი"-ს გამგეობისადმი საპასუხო წერილი, რომელშიაც მეც შემეხო. პირადად მე არ შევცდები, თუ ვიტყვი—მათ, ვინც კარგად იცნობს ბ. დადიანს „მოღვაწეობას", რასაკვირველია, ეს მისი წერილი ვერ გაგვაკვირვებდა; პირიქით, მეტად მოულოდნელი იქნებოდა მის კალამს დინჯი, მოფიქრებული ხასიათის რამ რომ დაეწერა: საზოგადოდ მისი გამოსვლები ხასიათდება მიტინგური თვისების სხაპა სხუპით, ლობე ყორეს მიდებ-მოდებით, და, როდესაც იგი აჩქარებით და მოუფიქრებლად წარმოთქმული აზრების გამო ვარდება უხერხულ მდგომარეობაში, თავის გასაყწევად „წყალწაღებული ხავს ეკიდება", მისი „ხავსი" კი ალვირ წახსნილი ლანძღვა გინება და გადაკრული სიტყვა ფრაზებია. ამიტომაც, მან სხვაფრივ ვერც კი გამოიყენა გაზ. „სახალხო საქმის" ორი სვეტი, რომელიც სავსებით საკმარისი იყო სერიოზული პასუხისათვის. მაშასადამე იგი იმ გაზეთის რედაქტორს ვერ დაემდურება და მოუცლელობითაც თავს ვერ გაიმართლებს.

საზ. „კახეთი"-ს გამგეობამ თავის წერილში (იხ. გაზ. „საქართველო" ნოემბრის 5 ს ნომერი) ამხილა ბ. დადიანი და წამოაყენა მთელი რიგი იმისთანა საკითხებისა, რომელთაც უცილობლად საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ: რაც უფრო ხშირად იქნება საამკარაოზე გამოტანილი საპასუხის მგებლო პირთა დასაგმობი საჯარო გამოსვლები, მით საზოგადოებრივი ზნეჩვეულება უფრო განსპეტაკდება. გამგეობის ვრცელი წერილი მე ისე მესმის, რომ მას სურდა დეტალურად საქმის ყველა გარემოების აღნუსხვით ბ. დადიანი განსაზღვრულ ფარგლებში ჩაეყენებია და მისი მთლიანი სურათი ფართო საზოგადოებისათვის ეჩვენა. ბ. დადიანმა კი, როგორც მომწყვდეულმა, რომელსაც გასაქანი არა აქვს, შეეცადა მისი სულის შემხუთველ ფარგლების გარღვევა იმით, რომ კამათი გადიტანა პიროვნულ ნიადაგზე და უხეშად ვის და რას არ წაეპოტინა.

ნუ თუ ბ. დადიანს სერიოზულად „სასაცილოდ" მიაჩნია გამგეობის წერილში აღძრული საკითხები? არა, ის განზრახ ჰქმნის მათ „სასაცილოდ", რომ ამით ფონს გავიდეს და გამარჯვებული სანახაობით თავი მკითხველს მოაწონოს. მაგრამ ვინ იქნება იმისთანა მკითხველი, რომელიც ბ. დადიანის მოჩმახულ პასუხს არ დაუპირისპირებს გამგეობის წერილს და ისე შესძახებს მას: „აფერუმ, ვაშა". გამგეობამ თავის წერილში განმარტა მთელი რიგი საშუალებებისა, რომელთაც ბ. დადიანმა მიმართა თავის მარწმუნებელის ინტერესების დასაცავად; მიუთითა იმ წარდგენილ დოკუმენტებზე, რომელნიც ცხად ჰყოფენ საქმის ნამდვილ ჭეშმარიტებას და გაუსვა რა ხაზი იმ გარემოებას, რომ ბ. დადიანს, როგორც საზ. „კახეთი"-ს ყოფილ მდივანს და ვექილს, საქმის ბევრი რამ მოეხსენება, დაასკვნა: „მოდავე მხარე ვალდებულია ხელი შეუწყოს საქმის სიმართლის გამომჟღავნებას და არ მიმართოს დაცვის ისეთ საშუალებებს, თუნდაც კანონში გათვალისწინებულთ, რომელთა მიზანი განსაზღვრულ შემთხვევაში არა ჭეშმარიტების კვლევა-ძიებაა, არამედ მისი მეტად დაბუნდოვანება, უკუღდება".

შემდეგ იმ წერილშივე აღნიშნულია: მიუხედავად იმისა, რომ თვით ბ. დადიანის მარწმუნებელმა აღიარა, დასაცლელი მაღაზიის პატრონი მევარო და იქვე კუთხეში მოვაჭრე ჩემგან ქირაობს კუთხესო, რაც უკანასკნელმაც დაადასტურა, ბ. დადიანმა ცალკე გაიყვანა ვინმე ფულინოვი, თავისი მარწმუნებელი და კუთხეში მოვაჭრე და უცბად შეთხზა—მაღაზიის პატრონი ფულინოვიაო და კუთხეში მოვაჭრე ამ სგან ქირაობს კუთხესო, რომ სასამართლოს ბოქაული შეცდომაში შეეყვანა. დაბოლოს გამგეობის წერილში მოთხრობილია ისიც, თუ როგორ ამხედრებდა ბ. დადიანი სასამართლოს ბოქაულის წინააღმდეგ მის განკარგულებაში მყოფ მილიციელებს და თითონაც როგორი წინააღმდეგობა გაუწია აღმასრულებელ ფურცლის სისრულეში მოყვანას, ე ი. ბ. დადიანის პირდაპირ კანონით აღკრძალული მოქმედება. ბ. დადიანი იაფფასიან ეფექტის მოსახდენ ფრაზებით იშორებს იმ ბრალდებებს, რომელიც გამგეობამ მას საჯაროდ წარუყენა, და თავმომწონ ტრაბახობით გაიძახის: „რაც კანონით ნება დართულია ყოველივე ზომა უნდა ვექილმა გამოიყენოს, თუნდ ამან გზა კვალი დაუბნიოს გამგეობის ვექილსო"; თუ „მე ასეთი თავზედ ხელ აღებით დამიცვას ჩემი მარწმუნებელის ინტერესები, პირიქით, მე სიამაყე მმართებს"-ო. ნუ თუ ნაფ. ვექილისათვის მართლადაც „სიამაყეს" შეადგენს საქმის დაცვის დროს გზაკვალის აბნევა? ხომ უდავო დებულებაა, რომ ორთავე მოდავე მხარე მხოლოდ ჭეშმარიტების გაშუქებას უნდა ემსახურებოდეს. ბ. დადიანი კი თურმე ცდილობდა „გზაკვალის" აბნევას! ვის წინააღმდეგ იყო მისი ამგვარი დაცვის საშუალება მიმართული? ბ. დადიანს იმდენი გამბედაობა არ შესწევს, რომ სიმართლე სთქვას: „თუნდაც ამან გზა-კვალი დაუბნიოს თვით სასამართლოს და სასამართლოს ბოქაულს". ხომ „გამგეობის ვექილს" ნახმარია იმიტომ, რომ თავის დაცვის „პრიომები" უფრო სასიქადულოდ დასახოს, ბაქი-ბუქიობისათვის გამოიყენოს. მას კარგად მოეხსენება—და თუ დაავიწყდა გადაათვალიეროს სასამართლოს სხდომების ოქმში მოთავსებული „გამგეობის ვექილის". განმარტება,—რომ მას საშველს არ ვაძლევდი, უმალვე უთითებდი სასამართლოს მის, ბ. დადიანის, დაცვის საშვალებათა ნამდვილ განზრახვას. ამ რიგად თავის თავად სდგება საკითხი: და უშვებელია მორალური თვალსაზრისით, რომ ნაფ. ვექილმა იხმაროს დაცვის ისეთი საშვალებები, თუნდაც კანონში გათვალისწინებული, რომელთა მიზანი განსაზღვრულ შემთხვევაში სასამართლოს გზა-კვალის აბნევაა და არა ჭეშმარიტების გამომჟღავნება. კანონი თუ დაცვის საშვალებებს უთითებს მხოლოდ და მხოლოდ სიმართლის გამოსარკვევად. დაცვის საშვალებათა არჩევაში უწინარეს ყოვლისა სიფაქიზე უნდა იქნეს დაცული; ამას საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვს, და სასამართლოს საქმის დაცვის „პრიომების" განსპეტაკებას სათანადო, რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ბ. დადიანი თავს იმით იმართლებს, თითქოს სასამართლომ „აუარებელი შეცდომები" დაუშვა, თუნდა მას კარგად მოეხსენება, რომ თვით მისმა მარწმუნებელმა, რომელმაც ზედმიწევნით იცის საქმის ყოველივე გარემოება, ბოლოს განაცხადე ნეტავი შეცდომაში არ შევსულიყავი, საქმე სასამართლომდის არ მიმეყვანაო, მოგება ყოვლად შეუძლებელი იყო, და რომ მან სასამართლოს ბოქაულს ამიტომაც წერილობით განაცხადა, საქმეს სამუდამოდ ვსპობო. მეტი რა საჭიროა, ეს სიტყვები ააშკარავებს ბ. დადიანის აბდა-უბდიან რახა-რუხის ღირებულებას.

სასაცილოა აგრეთვე რეკლამის თაობაზე მისი გაცვეთილი შენიშვნა: დიდი ჭკუა და უნარი არ არის საჭირო ერთგვარი რეკლამის წარმოებისათვის, მაგრამ ამისთვის საჭიროა შესაფერი ბუნება და მიდრეკილება, რასაც მე თავი დანვე, სჩანს, მოკლებული ვიყავი, თორემ ამდენ დროს ტყუილ უბრალოდ არ დავკარგავდი და, როგორც ზოგიერთი ყმაწვილები, თავიდანვე შეუდგებოდი რეკლამა-გამოსვლებს თავის სახელის გასავრცელებლად. ყოველ შემთხვევაში გაზ. „სახალხო საქმის" აღნიშნულ ნომერში მოთავსებული წერილის ავტორი რეკლამას მე ვერ მიკიჟინებს: სარეკლამო ნიმუშად მისი წერილი გამოდგება თავის ბაქი ბუქით. მართალია, ბ. დადიანის მერე მე დავიკავე საზ. „კახეთი"-ს იურის კონსულტის ადგილი მიუხედავად იმის, რომ იგი საზოგადოების წინააღმდეგ ვექილების შორის ბოიკოტს აწარმოებდა, და რომ ჩემ ჩამოშორებასაც კი ცდილობდა, მაგრამ მე მაშინაც მითქვამს მისთვის და ეხლაც განუმეორებ, რომ მისი ბოიკოტი ჩვენ დაწესებულების წინააღმდეგ სრულს უაზრობას და უტაქტობას წარმოადგენდა და თუ მან შესძლო ორიოდე ვექილის საზოგადოებისაგან ჩამოშორება, ეს აიხსნება არა პრინციპიალი მოსაზრებით, არამედ მათი ბ. დადიანთან პირად განწყობილებით. ეს მე თავდაპირველად იმ ვექილების გამოკითხვით გამოვიკვლიე, ხოლო მერე თვით რომ გავეცანი ბ. დადიანის წასვლის საკითხს, დავრწმუნდი, რომ ყოვლად დაუშვებელი იყო უარის თქმა. ბ. დადიანს არ მოეწონა, რომ მე ვერ შემითანხმა, და მე რაღა მეთქმო და მეტი, დაჟინებით ვთხოვდი მიემართა ნაფ. ვექილების საბჭოსათვის ჩემი საქციელის განსახილველად, მიუხედავად დაპირებისა მან, ალბად საჭიროდ დაინახა, მიაყრუა, ეს საკითხი, და მეც, იცოდეს მან, „დამშვიდებული სინიდისით" განვაგრძობ საზოგადოების იურისკონსულტობას, მე ეხლაც წინააღმდეგი არა ვარ, რომ არა თუ ეს საკითხი, არამედ ამ წერილის შინაარსიც გახდეს ჩვენი ამხანაგების მსჯელობის საგნად, გაზეთში კი მასთან კამათი აწი ზედმეტად მიმაჩნია.

ნაფ. ვექილი გამრეკელი

## ჩვენი კორესპონდენციები

### ლანჩხუთი.

შემთხვევით მომიხდა გავლა ლანჩხუთს და ჩიბათს შორის მდებარე გზაზე და საშინელი სურათი ვიხილე. ეს გზა ძველი სახელმწიფო გზაა, რომელიც აერთებს ქალაქს ახლო-მახლო სოფლებთან. ეს გზა ძველად კარგ მდგომარეობაში იყო და რაც უნდა ავდრობა ყოფილიყო „ფეხს მაინც არ დაისველებდით". ეხლა კი, (ქალაქიდან ცოტა დაშორებით) ეს გზა საშინელ სურათს წარმოადგენს: პატარა ღელე, რომელიც ამ შარა-გზას გვერდით ჩამოუდიოდა, დაუტოვებია თავისი კალაპოტი, გადმოსულა ზედ გზაზე, დაგუბებულა და დაახლოებით ერთი ვერსტის მანძილზე ეს გზა ტბას მოგაგონებთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ნავების მაგიერ ურმები აკეთებენ „რეისებს" და ყველა ეს „კულტურულ" ლანჩხუთის სექტორში. არ გეგონოთ, რომ ეს ახალი მოვლენა იყოს და დროებით ხასიათი ჰქონდეს: არა! ეს, როგორც გავიგე, უკვე წელიწადზე მეტი ყოფილა, რაც გზაზე წყალს გადმოუვლია. და ლანჩხუთის ქალაქის საბჭო, თავისი ქალაქის თავითურთ, არხეინად გრძნობს თავს, რადგანაც მისთვის არ არის საჭირო მოშორდეს „ცოტა ხნით" ქალაქის „ტროტუარს" და გახედოს თუ როგორ ჯოჯოხეთურ მდგომარეობაშია მათივე „აპეკაში" მყოფი გზა.

საჭიროა ვისგანაც ჯერ არს, მიექცეს ამას ყურადღება, თორემ არ არის ლამაზი, როდესაც ჩიბათიდან მომავალი მოწაფეები იძულებულნი არიან დილასაღამოობით ასეთ ტბაში „ექსკურსიები" აკეთონ და ქალაქის თავი კი იმ დროს, ვითარცა „საშუალო საუკუნოების ფეოდალი," მიმინოთი ხელში ქუჩაქუჩა დასეირნობდეს.

ნ. ჩიბათელი.

## წერილი რედაქ. მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო.

ამ ბოლო დროს თბილისის საზოგადოებაში გავრცელებულა ხმები, თითქოს მე სამსახურიდან დათხოვნილ ვყოფილიყავ უმაღლეს მთავრობის განკარგულებით.

ვინაიდან ეს ხმები მტკნარი სიცრუეა და მას ავრცელებს თბილისის საზოგადოებაში ლაგოდეხის ყოფილი მომრიგებელი მოსამართლე ბ-ნი პავლე ილიას ძე მოსულიშვილი, რომელიც სამსახურის დროს ჩადენილ დაუდევრობისა და ბოროტ მოქმედების ჩადენისათვის ჩემს მიერ მიცემულია პასუხის გებაში და მის შესახებ სწარმოებს გამოძიება, ამიტომ ჭეშმარიტების აღსადგენათ და საზოგადოების საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ მე სამსახურს თავი გავანებე ჩემის პირადი სურვილით, მიუხედავათ იმისა, რომ ჩემს დაჟინებით თხოვნას სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ არ იწყნარებდა არც სენატი და არც იუსტიციის მინისტრი, რომლის ოფიციალურ პასუხში ასე სწერია: თქვენი განთავისუფლება სამსახურიდან შეუძლებლათ მიმაჩნია, ვინაიდან ესა ჰნიშნავს ყრილობის ჩაშლას."

ამის შემდეგ თვით საზოგადოებამ გასაჯოს ზემოაღნიშნულ ცრუ ხმების საფუძვლიანობა.

სიღნაღის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა.

ყრილობის ყოფილი თავმჯდომარე შალვა ტატიშვილი.

1920 წ. ნოემბრის 10.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი სპ. კედია.


## თვალების ავადმყოფობი

ექიმი

**მ. გოლშტეინი**

სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი

**რეზო მაჩაბელი**

კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეზხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

ექიმი

**დ. ი. ჯაფარიძე**

შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.

ავადმყოფების მიღება დილის 12—1 ნახ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. ტელეფ. 16—65; 17—49.

ქუთაისი

ექიმი

**ისაკ იაკობის-ძე მინოშვილი**

ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილისა № 3208.

ყოფილი 1 კავკასიის [illegible] დრო. [illegible]

**ი. გ. [illegible]**

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) მყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ნელებს. ცხენის ქოთაოს (სავს) კვლევ მალეინის შეზხაპუნებით. ცხვრის სასულე—მილას ავათმყოფ[illegible] ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის" თოდებით. ვიძლევი დარიგებას ოტებნიაზე" (საქონლის მოვლა [illegible] ნება). დილის 9—10 საათ. და 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, [illegible]

ექიმი

**ე. ი. კალანდაძე.**

ღებულობს შინაგან სნეულებათა ავ[illegible] მყოფებს დღის 8—12 ს. ვენერი[illegible] სიფილისი (შეზხაპუნება 606 და 91[illegible]) და საშ. რდე ორგანოთა საღ. 5—7 გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. თხე ზემმელის აფთიაქთან. ტელეფ. 18—95. 3228

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფთ[illegible] მიღება.

ექიმი

**მ. ო. ზანდუკელი**

შინაგან და ნერვების ავადმყ. ელექტრონით წამლობა. ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტას[illegible] ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31. № 3207.


## მატარებელთა მოსვლა

ფოსტის მატარებელი № 3.
თბილისიდან ბათომში—დილის 10 [illegible] 53. წ.

მატარებ. № 3, № 7.
თბილისიდან ფოთში საღამ. 7 ს. 14 [illegible]

მატარებ. № 21.
თბილისიდან ბათომში, საღ. გად. 10 [illegible] 37 [illegible]

მატარებ. № 19.
თბილისიდან ხაშურში დილის 3 ს. 20 წ.

მატარებ. № 140.
თბილისიდან სალოღში დილის 9 [illegible]

მატარებ. № 390.
თბილისიდან სანაინში დილის 7 [illegible] 45 წ.

მატარ. № 4.
თბილისიდან კახეთში დილის 8 ს. 30 წ.

### თბილისში მოდ ს.

მატარებ. № 4.
ბათომიდან თბილისსკენ გამოდ[illegible] საღ. 10 ს. 27 [illegible]
თბილისში მოდის საღ. 6 ს. 46 წ.

მატარებელი № 7.
ფოთიდან თბილისისკენ გამოდის [illegible]მის 12 ს. 2 [illegible]
თბილისში მოდის დილის 2 ს. 13 წ.

მატარებელი № 22.
ბათომიდან თბილისსკენ გადის [illegible]მის 12 ს. 58 წ.

მატარებელი № 19.
ხაშურიდან თბილისსკენ მოდის [illegible]მის 2 ს. 16 წ.
თბილისში მოდის დილის 8 ს. 2 [illegible]

მატარებ. № 141.
სალოღლიდან თბილისსკენ გად[illegible] დილის 9 ს 10 წ.
თბილისში მოდის საღამ. 5 ს. 36 წ.

მატარებ. № 416.
სანაინიდან თბილისსკენ გადის დილის 8[illegible]
თბილისში მოდის დღის 4 ს. 53 წ.

მატარებ. № 3.
კახეთიდან თბილისში გადის დ[illegible] 4 ს. 2[illegible]

**სამობილიზაციო.**

## განცხადება.

იმ რთულ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქნა საქართველოს რესპუბლიკის მოსაზღვრე სახელმწიფოებში მთავრობამ დაადგინა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და მისი თავისუფლების დასაცავად ნაწილობრივი

### მობილიზაცია.

ამ მიზნით გაწვეული იქნებიან ჯარში რესპუბლიკის ყველა ქვეშევრდომი სათადარიგო ჯარის კაცნი და მოლაშქრენი

### დაბადებულნი

**1890, 1891, 1892, 1893 წლებში.**

ხსენებულ წლებში დაბადებულნი სათადარიგო ჯარის-კაცნი და მოლაშქრენი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ თბილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვაზლის ქუჩა) ამა წლის 10 ნოემბერს, დილის 10 საათზედ ჯარში წასასვლელად.

გაწვევისაგან განთავისუფლება და ვადის გადადება სამოქალაქო სამსახურზე მყოფ მოლაშქრე და სათადარიგო პირთა მოხდება 1915 წელში გამოცემულ „სამხედრო ბეგრის დებულების" 33 მუხლის დამატების მიხედვით და რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს ამა წლის 11 მაისის დადგენილების მე 3 მუხლის 1, 2, 3, 4 და 5 პუნქტების თანახმად. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 1920 წ. № 103) რომელთაც უნდა წარმოადგინოს სათანადო მოწმობები.

სამოქალაქო, საზოგადო და კერძო სამსახურზე მყოფ მოლაშქრე და სათადარიგო პირნი: რომლებიც თანამდებობის მიხედვით არ თავისუფლდებიან გაწვევისაგან, უნდა დაუყონებლივ იქმნენ დათხოვნილნი სამსახურიდან, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 2 დღისა დღიდან მობილიზაციის გამოცხადებისა.

ამა წლის მორიგი გაწვევა (დაბადებული 1900 წელში) გადადებულია მთავრობის განსაკუთრებულ განკარგულებამდის

1920 წელი 9 ნოემბერი
დილის 10 საათი.

თბილისის ქალაქის გამგეობა.